

708

1988

საქართველოს  
საბჭოთავო კულტურის

33

საქართველოს კულტურა

3  
1988

708  
1988  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის  
საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ  
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND  
CULTURAL MONUMENTS



წლებანდელ თბილისობის ზეიმზე დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა ზენი დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალს, უფილ კლუხანოვის პროსპექტს.

# ქ ე ლ ის ქ ე ო ლ ის ქ ე ო ბ ი ა რ ი

2 (1988)

ქართული ოთხმოდგამიანი

გამოდის 1964 წლიდან

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აბაშიძე, გივი ბაკათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მე მღვანე), კარგონ ჯაჭარაძე, მარიამ ლომთქიფანიძე, ოთარ ლომთქიფანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი ოსაპიძე, თენგიზ შვიციანი, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი  
რედაქტორი — ლევან მატარაძე

Редактор серии — ИРАКЛИ ЦИЦИШВИЛИ  
Редактор — ЛЕВАН МАТАРАДЗЕ





დავი ბერძენიშვილი — ჰეკაბი . . . . .	5
მინილი ვარაზიშვილი — შუბი ურადღემა ჰეკაბის სამონასტრო კომპლექსი . . . . .	9
ანჯორ პალატი — ზევსურეთის კოშკები . . . . .	13
გონა სანიძე — აწყურის ღვთისმშობლის ეკლესია . . . . .	22
ბაიოზ ბრიგოლია — ალავერდის ტაძრის კომპლექსის ერთი სატიკურისათვის . . . . .	26
მინილი ნიკოლეიშვილი — XIX საუკუნის ქუთაისის „სამეფო ადგილი“ . . . . .	30
ბრძანაძე ნარბაიშვილი — ქართლის ძვ. წ. V-I სს. კერამიკა . . . . .	35
ვლადიმერ ლენაშვილი — ხევისთავის ინსიგნია ცხრაშმის ზეობაში . . . . .	49
ჯონი ავაქიძე — ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ. წ. XV-VI სს.), სა- პარონები, განძები შეტალურგეული სახელოსნოები . . . . .	46
მარიაშვილი — შინის სახელმწიფოებლები ჩავაბეთიდან . . . . .	53
აბასლოშვილი — ეკის ნაოლისნეკეზის მონასტრის წარწერები . . . . .	57
ნანული თოღა, მავაღა აბაღაძე, თამაზ ნაბაიშვილი — შოქის სამონასტრო კომპლექსი და ბიოტური ეროზიის გამოწვევი მცენარეები . . . . .	61
თეიმურაზ ბერძენიშვილი — კირდუღაბი . . . . .	64
ქრონიკა	
ბასარიონ ჯორბანაძე — რუსეთის მუზეუმის ახალი ექსპოზიცია . . . . .	66
ნოდარ ბახტურიძე — ძეგლების სივარულით . . . . .	68
ნორა თიბიშვილი — კულტურის ახალი კერა . . . . .	70
ზარაზ ვარაზიშვილი — „ძეგლის მეგობრის“ დღეები ქაათურაში . . . . .	71

СОДЕРЖАНИЕ

Д. Бердзенишвили — Худжаби . . . . .	5
М. Варазашвили — Большие внимания Худжабскому монастырю . . . . .	9
А. Калдани — Башни Хевсурети . . . . .	13
Г. Сантидзе — Ацкурский храм Богоматери . . . . .	22
Г. Григоლიа — Об одном пороке сооружения Собора Алаверды . . . . .	26
М. Николойшвили — «Царственное место» в Кутаиси XIX в. . . . .	30
Г. Нариманишвили — Картлийская керамика V—I вв. до н. э. . . . .	35
В. Гунашвили — Хевиставская инсигния цхразмисского ущелья . . . . .	40
Дж. Алакидзе — Археологическая карта Центральной Колхиды (XV—VI вв. до н. э. Погребения, клады, металлургические мастерские . . . . .	46
М. Сагнашвили — Стеклянные бальзамари из Джавахети . . . . .	53
А. Тугуши — Надписи монастыря Эни . . . . .	57
Н. Тодуа, М. Абуладзе, Т. Якашвили — Моквский монастырский комплекс и растения, вызывающие биотическую эрозию . . . . .	61
А. Буркишвили — Старый известковый раствор . . . . .	63
ХРОНИКА	
В. Джорбенадзе — Новая экспозиция Руставского музея . . . . .	66
Н. Бахтуридзе — С любовью к памятникам . . . . .	68
Н. Тигишвили — Дом-музей Шалвы и Петре Амиранашвили . . . . .	70
З. Церетели — Дни «Дзеглис мегобари» (Друга памятника) в Чнатура . . . . .	71



დავი ბაქანიშვილი

**პუჯაბი**

პუჯაბის სამონასტრო კომპლექსი მდ. ფოლადაურის სათავეებში, მის ნაპირვენი სანაპიროზე, თანამედროვე სოფ. აბ-ქერტის მახლობლად მდებარეობს, ეს სოფელი ამჟამად მარნეულის რაიონში ითვლება; ძველად კი შედარებად ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელსაც ბოლნისის ხევი ეწოდებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ფოლადაურის ხეობის აღწერისას პუჯაბის მონასტრისად იხსენიებს: „...არს მონასტერი პუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს“<sup>1</sup>. სოფლების სიაში ავტორი ამ სახელწოდებას სოფელსაც ასახელებს, ფორმით „უჯაბი“, რომელიც მოქცეულია სოფ. ხანძუტსა და ჯარმეჩებს შორის.

სამონასტრო კომპლექსი სოფლიდან დაახლოებით 1 კმ-ზეა, ლალეარის ძირის ძირში. გარედან მას ვალაყანი ერტყა, რომლის შიგნით სხვადასხვა ნაგებობათა კვალია, ყველაზე მნიშვნელოვანი აქ გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კედლებში გამოყენებულია აგური და გათლილი ქვის ლოდები. მობირკეთებაში ღია ფერის ქვებს ენაცვლება მუქი ფერის ლოდებიც, რაც სასიამოვნო შეთხვევითობას ტოვებს. სარკმლები და გუმბათის ყელი უხვად ყოფილა შემკული ქართული წნული ორნამენტით, ასეთივე წნული ჩუქურთმითაა შეგებილი მოზრდილი ჯვარიც. შიგნიდან ეკლესია მონატული ყოფილა, რომლის კვალი ჯერაც ეტყობა. ხელოვნების ისტორიკოსები ამ ნაგებობას XIII ს-ის I ნახევარს მიაკუთვნებენ<sup>2</sup>.

გალაყნის შესასვლელთან მეორე ეკლესიის ნანგრევებია. იგი დარბაზული ტიპის შენობა ყოფილა, საშუალო ზომის თანაბარი ლოდებით, პორიზონტალურ წყობაზე ნაგები. გვიან გადაკეთებული ეს ნანგრევი, 1956 წლამდე თივის შესანახად იყო გამოყენებული. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, მცირე ეკლესია ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. შირიმის ქვა, რომლითაც ის აუგიათ, ხევის აყობებით, დაახლ. 1 კმ-ზე მოიპოვება. ეზოში არსებული ნანგრევები მოწმობენ, რომ აქ იქნებოდა მონასტრის ბერთა სენაკები და სატრაპეზო, ასევე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროს ორი ხევის შესაყარში ნასოფლარია საკუთარი ეკლესიის ნანგრევით შემორჩენილი. ჩვენ მხოლოდ აღმოსავლეთის კედელია დაგვხვდა, თუმცა ეკლესიის ბუდე კარგად ჩანდა (10 მ×4 მ). ეს უნდა იყოს პუჯაბის ნასოფლარი.

პუჯაბის მიდამოებში სხვაც ბევრი ნასახლარ-ნაეკლესიარია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც ფოლადაურის აყოლილი გზა და მგლის კარის ედელტეხილია, რომელსაც ლორე-ტაშირში გადაეყვართ. აბ-ქერტიდან იგი

18996

ქაქ. ისრ. კ. მარტოვი  
სახ. სოფ. პუჯაბი  
1956. 07. 01



ბე-13 კმ-ზეა, ზღვის დონიდან 1770 მ-ზე. ესაა დაახლ. 80 მ სიგრძის, კლდეში გამავალი ღერეფანი, რომლის სიგანე ზოგან 10 მ-დეა. არ ჩანს, რომ ზღვიანობაში ხელოვნურად იყოს გაკაფული; იგი უფრო აქ გამავალ მოვზაურთა მიერაა საუქუნეების განმავლობაში დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ამ გზით სარგებლობდა როგორც ფოლადაურის, ასევე შულავრის ხევიც, რომელსაც ლორისკენ სხვა გადასასვლელი არ აქვს; ეს გზა კი უფრო მოკლეა მაშვერ-ფინე-ზაურისა და დებედის ხეობათა გზებთან შედარებით. უღელტეხილის სიახლოვეს, გზისპირა კლდეზე, პატარა, სქელკედლებიანი, დარბაზული ეკლესიის ნანგრევი იყო, რომლის ნაღისებური აფსიდა ნაგებობას ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებდა. არ შეეცდები, თუ მგლის კარის უღელტეხილს იაშინ უკვე არსებულად მივიჩნევთ.

მგლის კარით ლორე-ტაშირს მიმავალი გზის მნიშვნელობას ადასტურებს მის გასწვრივ, ხეობის ორივე ნაპირზე დამოწმებული ნააოფლარების სიმრავლე; ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე ისინი ცოცხალი ერთეულები ჩანან, რაც ამ გზის სიციცხლისუნარიანობაზეც მეტყველებს. ამასვე გვიდასტურებენ წერილობითი წყაროებიც: ეპითაღმწერლის ცნობით, თბილისზე გალაშქრების წინ ჯალალედინი „დაბანაკებულ იყო სომხეთს, კვესა ბოლნისისასა“<sup>3</sup>, ორბელი-შვილნი ერთ საბუთში წერენ: „ბოლნისზე... ამ ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის, ბაგი სულ ჩვენაო“<sup>4</sup>, საბაეო ყოფილა მგლის კარის უღელტეხილის აიხალოვესაც, რაზედაც 1717 წლის კიდევ ერთი საბუთი მეტყველებს. ესაა საზღვრების გარიგების წიგნი აქაური მფლობელებისათვის: „აკაჰკუტრადამ რომ სომხეთისაკენ გზა გარდმოვა, სომხეთს რომ გარდმოხედავს; წინ ერთი სერი არის — სახელი ურაც თალა ჰქვიან, იმის გაღმითაც ერთი სერი არის კაკაჰკუტისაკენ, რაც იმ ორს შუა ხევი ჩამოვარდება ჰიბეჰის წყლამდის... ორის წყლის შესაყრის სისწორ სერი რომ შემოივლის, თავს საბაეოს ქვის ყრილობა, იმასთან ელის შარა რომ შემოივლის, გზის კლდე ნადვალეთის სამძღვრამდის ღარჩა შანშიაშვილებს, იმის გაღმომღა და რჩა ოფრეთელთ. ჰქსა უე“<sup>5</sup>, როგორც ვხედავთ, საბაეოსთან ელის შარაჲა დასახლებული, რაც ქვემო ქარაღის ბარში ჩამოსახლებული, თურქმანული ტომების ცხვრისა, თუ საჭონლის გზას გულისხმობს. ისინი თავის ფარებს სახაფხულო სამოვრებისაკენ ამ გზით ერეკებოდნენ.

იმავე გზის მნიშვნელობაზე მეტყველებს კიდევ ერთი, ფეოდალური ხანის გვიანი საუკუნეების ძეგლი, ესაა ქვის ერთთაღიანი ხიდი ფოლადაურზე, შულავრის ხეობიდან გადმოსასვლელში. სწორედ მისი სახელი შერქმევა იქვე არსებულ სოფელს — ან-ქერფი აღნიშნავს „თორ ხიდს“. სოფელში სომხური მოსახლეობაა; იქაური მოხუცების თქმით, ესენი ერეკლე მეფის დროს არიან გადმოსახლებულნი, თუმცა სასაფლაოზე XIX ს-ზე ძველი საფლავის ქვები ჩვენ არ გვინახავს.

აი, ასეთ გარემოშია ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი. ძალიან საინტერესოა, რომ მისი სახელი არ გვხვდება ძველ საბუთებში. მხოლოდ XVIII ს-ის I მეოთხედიდან ჩანს იგი „ხუჯაბის“ ფორმით: ესაა 1721 წლის ხალხის აღწერის დავთარი და დასტურლამალი, სადაც აღნიშნულია ხუჯაბის ქორის

ზედ<sup>6</sup>. თუ ეს ამბავი შემთხვევითი არაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰუჯაბი, ანუ ზუჯაბი მოგვიანებით შერქმეული სახელია, მაგრამ ჩვენ არც ამ ადგილის ძველი სახელწოდება ვიცით. ჰუჯაბი (ზუჯაბი) ივ. ჯავახიშვილის განმარტებით არაბული სიტყვაა და მრავლობითი რიცხვია სიტყვიდან ჰაჯიბი (ხაჯიბი), რაც ეციბს — მეკარეს, კარის მცველს ნიშნავს. ე. ი. ჰუჯაბი (ზუჯაბი) ქართულად შეიძლება გავიგოთ როგორც „ეციბნი“<sup>7</sup>.

ზემოთქმულთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მეჩვენება XVII საუკუნის ორი საბუთი. პირველი 1651 წლისაა, რომელშიც როსტომ მეფე წერს: „ვიბოძეთ... ეჯუბისშვილსა, კარისა ჩუენისა მესტუმრესა დონდარს და ძმასა თქუენსა ზურაბს, ძმისწულსა შენსა მირზაალის, შვილთა თქუენთა შავერდის და გამრიკს... მას ეამსა, ოდეს ბედნიერთ ჰელმწიფეთა პაპა-მამათა ჩუენთა, პაპა თქუენი და მამა თქუენი ლორიდაძმა აეყარა და სომხითს გარდმოესხა და ბედნიერს პაპასა ჩუენსა, პატრონსა ლუარსაბს და მეფესა პატრონსა სვიმონს პაპა-მამათა თქუენთათვის წყალობა ექნა და ებოძებინა სომხითს ატყრი ნასოფლარი ყუდრუ და ნასოფლარი შიხობანი, და პაპა-მამათა თქუენთა აეშენა და სამკუიდროდ დაგრჩომოდა“<sup>8</sup>.

ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ ეჯუბისშვილები (იმავე წლის სხვა საბუთში ესენი ეჯიბისშვილებად იხსენიებიან) XVI ს-ის შუა წლებში ლორიდან გადმოუსახლებიათ მეფე ლუარსაბსა და მის ძეს — სიმონს. მაშინ მიუღია ამ საგვარეულოს სომხითის ნასოფლარები ასაშენებლად და სამკუიდროდ როსტომის დროს (1651 წ.) ამ საგვარეულოს ერთი წარმომადგენელი სამეფო კარის მესტუმრის სახელს ფლობს, თუმცა მათი გვარსახელი ისევ მეკარის თანამდებობას აღნიშნავს.

ამავე პირებს იხსენიებს 1651 წ. სხვა დოკუმენტიც. იქ ნათქვამია, რომ მეფის კარის მესტუმრეს ეჯიბისშვილს დონდარს, მის ძმას ზურაბს, მათ შვილებს შავერდისა და გამრიკას, როსტომ მეფემ უბოძა სომხითის სოფელი მიშტარაშენი და მამული სოფ. ტალავერში. საინტერესოა, რომ ექვთ. თაყაიშვილი, ალბათ დონდარის ძის — გამრიკას სახელის გათვალისწინებით, საბუთის აღწერას იწყებს სიტყვებით: „სიგელი გამრეკელებისა, მიცემული როსტომ მეფის მიერ“<sup>9</sup>. თუ ეს მახვილგონიერი მიხედვრა სხვა მხრივაც დადასტურდებოდა, მაშინ გვეცოდინებოდა ეჯუბისშვილთა ძველი გვარი — თორელი. ეს წით უფრო, რომ ცნობილია, თორელთა გვარის წარმომადგენლების სამოხელეო და სამამულო მფლობელობა ქვემო ქართლში.

კიდევ უფრო საინტერესოა ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთი, რომლის მიხედვით, 1661 წ. შაჰნავაზი, კარის მესტუმრე დონდარ ეჯუბისშვილს, მის ძმას და შვილებს აძლევს სომხითის ნასოფლარებს — კარასპურსა და ნადვალეთებს. სპარსული ტექსტის მიხედვით, ეძლევა „დონდარ-ბეგ თუშმალს... მის ძმას ზურაბს და მის შვილებს შავერდის და გამრიკს.. სომხითის სოფელი ქარასაფური და ნადვალეთი. გააშენებენ და დაასახლებენ რა ხსენებულ სოფლებს, თავის თიულად დამტკიცებულად იცნონ ისინი“<sup>10</sup>.

აქ ნახსენები ნასოფლარები ფოლადაურის ზემო წელზეა, ჰუჯაბის სიახლოვეს. ისინი ეჯიბისშვილებს დაუსახლებიათ და იქაური მებატონეებიც გამზ-



დარან. 1721 წლის აღწერის დავთარში სოფლებში კარასპუორში, ზემო და ქვე-  
 მო ნადვალეთებში მებატონეებად თუშმლიშვილები იხსენიებიან.<sup>1</sup> მარკსის<sup>2</sup> მიხედვით,  
 ზემოსხენებული საბუთის სპარსული ტექსტის მიხედვით, იგივე უჭუბისშვილები  
 არიან, რადგან თუშმალი სპარსულში მეკარეს, კამერდინერს აღნიშ-  
 ნავს, ამიტომია, რომ საბუთის ქართული ტექსტის „დონდარა ეჭუბისშვილის“  
 ფარდად, სპარსული ტექსტი იძლევა „დონდარ-ბეგ თუშმალს“.

ასეთ პირობებში შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნასოფლარად ქვეული ჰუ-  
 ჯაბი, ოდესღაც ეჯიბთა (ეჯუბიშვილთა) მიერ მოშენდა და სახელიც აქედან  
 ბაილო სოფელმა. ვახუშტის რუკაზე სოფ. ჰუჯაბში აზნაურის რეზიდენციაა  
 აღნიშნული. ეგების აქ იჯდა ეჯიბი, მეკარე, მცველი მგლის კარისა, ზემოთ რომ  
 მოვიხსენიეთ. ასეთი სახელი XVII ს-ის საქართველოში დადასტურებულია  
 ხეობაში. 1609 წ. ტაშისკარში ყირიმელ თათრებთან მომხდარი ომის დროს,  
 გიორგი სააკაძემ წინასწარ შეკრა გასაქცევი გზა ხეობით. ახალციხისაკენ. იოსებ  
 თბილელი წერს: „ჩვენი სიკვდილი აღარ გვჩნდა იოტად, ანუ კერისა, გზები  
 შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა“<sup>3</sup>. ე. ი. კორტანეთის გზაზე მე-  
 კარეთა უფროსი ვინმე შალვა ყოფილა.

ანალოგიური ვითარება შეიძლება ვივარაუდოთ ფოლადაურის ზემო წელ-  
 ზედაც და მაშინ ჰუჯაბის სახელწოდება უფრო გასაგები გახდება.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რე-  
 დაქციით, თბ., 1941, გვ. 37.

<sup>2</sup> ქსე, XI, თბ., 1987, გვ. 521.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959, გვ. 183.

<sup>4</sup> თ. ვორდანია, ქრონიკები II, გვ. 443.

<sup>5</sup> ცსსა, ფონდი 1450, დავთ. № 6, საბ. № 19.

<sup>6</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი I და II, თბ., 1938, გვ. 379.

<sup>7</sup> ლ. მუსხელიშვილი ბოლნისი, „ენიმკი“-ს მოამბე III თბ., 1938, გვ. 384.

<sup>8</sup> ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, თბ., 1910, გვ. 2.

<sup>9</sup> ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, თბ., 1909, გვ. 265-266.

<sup>10</sup> ე. ფუფურიძე, ქართულ-სპარსული საბუთები, თბ., 1955, გვ. 294-296.

<sup>11</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი I და II, თბ., 1938, გვ. 317, 333.

<sup>12</sup> იოსებ ტბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 10.



ქუჯაბის მონასტერი. საერთო ხედი.

Худжабский монастырь. Общий вид.

## მიხეილ მარაზაშვილი

### მედი უშრალაბა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსს

მარნეულის რაიონის სოფელ აბ-ქერფიდან 800 მეტრის მანძილზე, მდებარეობს ჰუჯაბის მონასტერი. თვით აბ-ქერფამდე კი თბილისიდან 97,0 კილომეტრია. გზა თითქმის მთლიანად ასფალტირებულია, გარდა უკანასკნელი პატარა ნაწილისა, რომელზედაც ახლა მიმდინარეობს გზის ზედაპირის მოასფალტება. სოფელი აბ-ქერფი დღია და ითვლის 500 კომლამდე მოსახლეს. ადგილმდებარეობა ჰუჯაბის მონასტრისა უაღრესად ლამაზია, იგი შემორტყმულია ხშირი ფოთლოვანი ტყით, იქვე მიედინება მდინარე ბონისის შენაკადი.

მონასტერი აგებულია ქართველების მიერ, ქართულ სამშენებლო ტრადიციებში, მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. ამას ადასტურებს ცნობარი „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე“, გამოცემული თბილისში 1959 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვის და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს მიერ (იხ. გვ. 80, მარნეულის რაიონის ძეგლები). აგრეთვე „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ატლასი“, გამოცემული 1964 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ (იხ. რუკა 267-268).



ქართული  
ენციკლოპედია



წმ. ნინოს ეკლესიის მთავარი შესასვლელი  
კარი.

Входная дверь в церкви св. Нино.

წმ. ნინოს ეკლესიის კედელზე ამოკვეთი-  
ლი კვართი.

Крест на стене церкви св. Нино.



მონასტერი დაცარიელდა მტრის მორიგი შემოსევის დროს, როცა მათ ჰირწმინდად მოსპეს მონასტრის ყველა წმინდა ბერი. 1905 წელს კი იქ ჩაშენდა ახალი ეკლესია. მონასტერი აღმოცენდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დედათა მონასტერი, რომელ-



ბუჯაბის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ბაზილიკის ტიპის ეკლესია — ადრე შუახუროვნები.

Церковь типа базилики входящий в Худжабский монастырский комплекс. Раннесредний век.

ბუჯაბის მონასტრის მსახურები: მარცხნიდან მორჩილა ლუბა, მონაზონი ნინო, იღუმენია პავლა, მონაზონი ევდოკია. ფოტოები ავტორის.

Служители Худжабского монастыря, слева послушница Люба, монахиня Нино, игуменья Павла, монахиня Евдокия. Фото автора.







მაც იარსება 1935 წლამდე. ამ წელს იგი ველურად დაარბიეს (გაუგებარია თუ რა მიზეზით) და ისე განდევნეს მონაზვნები მონასტრიდან, რომ მონასტრის მხოლოდ რაც მათ ტანზე ეცვათ. მონაზვნებმა თავი შეაფარეს ზემოხსენებულ სოფელ ახ-ქერფსა და იქ დამკვიდრდნენ. შემდეგ მათ მოაწყეს ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სამლოცველო და სენაკები, ცხადია ძალზე ვიწრო და სრულიად შეუფერებელ პირობებში. ეს ყველაფერი დგინდება მონასტრის აღმადგელი ილუმენის პავლას ნათქვამით რომელიც ცოცხალი მოწმეა მომხდარი ამბის, რადგან 1935 წელს იგი იყო ჰუჯაბის დედათა მონასტრის მონაზონი. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლა ახ-ქერფის მონასტრის მონაზვნება გამოთქვამენ სურვილს ჰუჯაბის მონასტრის კომპლექსში დაბრუნებაზე.

რაც შეეხება საეკლესიო ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. მონასტრის მთავარი, XIII საუკუნის ეკლესია წმინდა ნინოს სახელობისაა. იგი გუმბათიანი ნაგებობაა და მოითხოვს სასწრაფო რესტავრაციას, რაც აუცილებელია ძეგლის სრული დანგრევისაგან გადარჩენისათვის, დაზიანებული აქვს სახურავი, გუმბათიც შესაკეთებელია, არის ნიშნები ტაძრის განზრახ დაზიანებისა. სახელდობრ, კარიბჭის ზღუდარზე, სადაც ზოგ ქართულ ეკლესიაზე კეთდება ვრცელი წარწერა, ქვის ფილა ამომტვრეულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გუმბათისა და ფანჯრების ირგვლივ ნაკეთები ქართული განუმეორებელი ჩუქურთმები, აგრეთვე კედლის მთელ სიმაღლეზე და სიგანეზე ქვაზე ამოკრილი ულამაზესი დიდი ჭვარი.

სახვასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჰუჯაბის მონასტრის წმინდა ნინოს ტაძრის რესტავრაციის პროექტი კარგა ხანია დამუშავებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სპეციალურ სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების მიერ, მაგრამ უმოქმედოდ ინახება ზემოხსენებულ გაერთიანებაში.

სამონასტრო კომპლექსში შედის კიდევ ერთი ეკლესია... იგი ბაზილიკის ტიპისაა და ნაშენია ადრე შუასაუკუნეებში, ე. ი. წინ უსწრებს წმინდა ნინოს ეკლესიას და უნდა დათარიღდეს V-VI საუკუნეებით. იგი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია, ვიდრე ზემოხსენებული გუმბათიანი ეკლესია, ვინაიდან შემორჩენილი აქვს მხოლოდ ოთხი კედელი, სწორედ ამ ბაზილიკას მოითხოვენ ახ-ქერფის დედათა მონასტრის მსახურნი სამლოცველოს მოსაწყობად.

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსიდან მოსახსენებელია აგრეთვე სატრაპეზო. თავის დროზე იგი, ალბათ, საკმაოდ დიდი შენობა უნდა ყოფილიყო, რაც მოწმობს წმინდა მამათა დიდ რიცხზე მონასტერში. ახლა კი მისგანაც მხოლოდ ოთხი კედელია შემორჩენილი.

გარდა ამისა, მონასტრის ტერიტორიაზე კიდევ აღინიშნება მრავალი ნაგებობის კვალი, ალბათ სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობების ნარჩენები, მაგრამ მათგან გამოირჩევა ერთი უიმედოდ დაზიანებული ხის სახლი, სადაც, თავის დროზე დედათა მონასტრის სენაკები ყოფილა მოწყობილი.

### ხეხსურეთის კოშკები

ფუნქციონალური დანიშნულების თვალსაზრისით კოშკი კავკასიონის მთა-მალაღში ერთ ტიპს ქმნის. იგი მალლივი ნაგებობაა და თავდაცვისათვისაა განკუთვნილი, თუმცა კონსტრუქციული აგებულების, გადახურვისა და გარეგნული ფორმების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებანი შეიმჩნევა არა თუ რეგიონის ცალკეული კუთხეების მიხედვით, არამედ ამ კუთხეების შიგნითაც.

ამჟამად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ხევსურეთის მასალაზე. თუ ზემოდასახლებულ ნიშნებს ტიპოგენურად მივიჩნევთ, მაშინ ხევსურეთში კოშკის სამი ქვეტიპია დამოწმებული: 1. სიპერდიანი კოშკი; 2. ბანით დასრულებული კოშკი; 3. ჭიშკლის კოშკი (მას ანალოგი არ მოუძებნება ხევსურეთში).

#### 1. სიპერდიანი კოშკი

ა). ამ ტიპის შედარებით მარტივი კოშკი ავზომეთ ნასოფლარ გუროში. იგი ნასოფლარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია აგებული, გოგოქურებს ეკუთვნის და „ბათაკათ ციხის“ სახელწოდებითაა ცნობილი (გეგმები, პრილი და ჩანახატი იხ. სურ. 1, 2).

კოშკის ასაგებად გამოყენებულია კლდის ნატეხა ქვა. სართულშია გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. კოჭებზე ხის ვიწრო ძელაებია (ქერი) გადებული; მათზე ფოთლოვანი ტოტებია (ადეში) დაწყობილი. ხოლო ამ უკანასკნელზე თიხოვანი მიწაა მოტყეპნილი. ბოლო სართულის ქერი ძალზე წარწილული გუმბათის ფორმისაა; სახურავი კიბურადაა გადახურული. ფიქალის ქვევით. ასეთი ტიპის სახურავი ხევსურეთში **სიპერდის** სახელწოდებითაა ცნობილი. სიპერდი 11 საფეხურისაგან შედგება. იგი დასრულებულია წაკეთილი კონუსისმაგვარი ქვით (კუშტული). სართლები ერთმანეთთან ქერში გაკეთებული საძრომი ღიობებითაა დაკავშირებული.

კოშკის გეგმა ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობისაა (4,6 × 4,45მ). იგი ზუსტსართულიანია. მისი სიმაღლე 15,3 მ. შეადგენს

კოშკის ერთად-ერთი თაღოვანი შესასვლელი მეორე სართულის სამხრეთის კედელშია, მიწის დონიდან 2, 6 მ-ის სიმაღლეზე. კარის წირთხლებთან გარეთკენ ნაოთხალებია გამოყოფილი. წირთხლებში საურდულე ზერელებია გაკეთებული. პირველი სამალავი სართულის კედლები ყრუა. აქ ქერში დატოვებული საძრომიდან ჩადიოდნენ.

მესამე სართულის სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში თითო სარკმელია, აღმოსავლეთის კედელში სათოფური.


მეოთხე სართულის სამხრეთის კედელში სარკმელია, დანარჩენ კედლებში — თითო სათოფური; მათ შორის აღმოსავლეთის კედლისა დუბლირებული ზერელით.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო სალოდეა მოწყობილი.

ბ). მეორე სიპერდიანი კოშკი ავზომეთ ნასოფლარ ლეზაისკართან, სამანქანე გზის ზემოთ, ამ უკანასკნელისაგან 300 მ დაცილებით. საშენად კლდის


ხვრ. 1. გურო, კოშკის ჩანახატი.

Фото 1. Гуро. Вид башни.



ხვრ. 2. გურო, კოშკის გეგმები და კრი-  
ლი.

Фото 2. Гуро. Башни. Планы и  
разрез.



წაა გამოყენებული, შემკრავად — კირის ხსნარი. ფასადებზე ზოგან შელესი-  
ლობის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

კოშკის გეგმა კვადრატულია (4,25×4,25მ). იგი ხუთსართულიანია. მისი  
სიმაღლე 15,55 მ-ს შეადგენს.

კოშკის პირველი სართულის კედლები ყრუა. იგი ტყვეს დასამწყვდევე დი-  
ლეგად და სიმაღლედ გამოიყენებოდა. კოშკის მეორე სართულის გადახურვა



გუმბათოვანია, შესრულებულია ქვის წყობით კირის ხსნარზე. ბოლო სართულის კერი ძალზე წარზიდული გუმბათის ფორმისაა, რომლის ზედა ნაწილზეც კვეთილია. დანარჩენი სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. საბურავი სიბერდიანია 14 საფეხურით. სიბერდზე კონუსისმაგვარი კვაა დასმული.

კოშკში შესასვლელი მეორე სართულის აღმოსავლეთის კედელშია გაკეთებული, მიწის დონიდან 2,2 მ-ის სიმაღლეზე. იგი ტრადიციულია, ნაოთხალებითა და წირთხლებში საურდულე ხერვლებით. კარი ნახევარწრიული თალითაა დასრულებული.

მესამე-მეოთხე სართულების აღმოსავლეთის მხარეს თითო თაღოვანი სარკმელია. მეორე-მეოთხე სართულების ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში სათოფურებია მოწყობილი, როგორც ჩვეულებრივი, ასევე დუბლირებული და სამშავი ხერვლით. საფასადე მხარეს ხერვლები სამკუთხა მოყვანილობისაა.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო სალოდეა მოწყობილი. სალოდეების კედლებში, სხვადასხვა მხარეს მიმართული სათოფური ხერვლებია დატოვებული.

კარის ზღურბლის ქვაზე გარედან ამოკვეთილია წრეში ჩასმული ტოლმკლავიანი ჯვარი, მკლავებს შორის ოთხი წერტილით. მის გვერდით მამაკაცის მარტივად გამოსახული ფიგურაა ცალ ხელში ხმლითა და მეორეში ფარით. მათგან მარცხნივ, ოდნავ დაცილებით, ჯვრის გამოსახულებაა.

კოშკის ზემოთა ნაწილში, უშუალოდ საბურავის ქვეშ შელესილ ზოლზე, სამ მხარეს, მოწითალო ფერის საღებავით ადამიანისა, და ცხოველების სტილიზირებული ფიგურებია გამოსახული.

გ.მესამე სიბერდიანი კოშკი ავზომეთ სოფელ ახიელში, ახიელი არხოტის ხეობის შუაწელზე მდებარეობს. კოშკი სოფლის ზემო უბანშია აგებული (კრილი, ფასადი და გეგმები იხ. სურ. 5,6).

კოშკი კლდის ნატეხი ქვითაა ნაგები. შემკრავად კირის ხსნარია გამოყენებული. კოშკი ადრე შელესილი და შეთეთრებული უნდა ყოფილიყო, რაზეც კედელზე შემორჩენილი ბათქაშის ფრაგმენტები მიგვანიშნებს.


ნაგებობის გეგმა კვადრატულია (4,73×4,74მ). იგი ხუთსართულიანია. მიხი სიმაღლე 18,5 მ-ს აღწევს.

კოშკის მეორე სართულის კერი გუმბათოვანია. ბოლო სართულის კერს შეისრული გუმბათის ფორმა გააჩნია ზედა წაკვეთილი ნაწილით. დანარჩენი სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა მოწყობილი. საბურავი სიბერდიანია თერთმეტი საფეხურით.

კარი მეორე სართულზეა, აღმოსავლეთის კედელში, მიწის დონიდან 3 მ-ის სიმაღლეზე. კარის ლიობი ნაოთხალებიანია, ზევითკენ ოდნავ ვიწროვდება და შედაბლებული თალითაა დაგვირგვინებული. წირთხლებში საურდულე ხერვლებია. ანალოგიური კარია მესამე სართულის ჩრდილოეთის კედელშიც.

მესამე და მეოთხე სართულის აღმოსავლეთის კედელში თითო თაღოვანი სარკმელია. მეორე-მეოთხე სართულის კედლებში რამდენიმე სათოფურია, მათგან ერთი დუბლირებული, ერთი კი სამშავი ხერვლით.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო სალოდეა მოწყობილი. სალოდეების კედლების შემორჩენილ ფრაგმენტში სათოფურია ვაკრილი.




სურ. 3. ლეზბაისკარის კოშკი. ჭრილი და ფასადი.

фото 3. Башня Лебанскари. Разрез и фасад.

სურ. 4. ლეზბაისკარი. კოშკის გეგმები.


фото 4. Лебанскари. Планы башни.



კოშკის შესასვლელის ღერძზე, მაღლა, სალოდის ქვეშ, კედლის წყობაში მცირედ შეღრმავებული ჯვარ-გოლგოთას გამოსახულებაა.

დ). კიდევ ერთი სიბერდიანი კოშკი ავზომეთ არდოტის ხეობის ზედაწელში, სოფ. არდოტის სამხრეთ ნაწილში (გეგმები ჭრილი და ფასადი იხ. სურ. 7). საშენ მასალად კლდის ნატეხი ქვა გამოყენებული, შემკრავად — კირის ხსნარი.

კოშკის გეგმა სწორკუთხოვანი მოხაზულობისაა (4,5×4,2 მ), ხუთსართუ-




სურ. 5. სოფ. ახელის კოშკი. კრილი და ფასადი.

фото 5. Башня сел. Ахвели. Разрез и фасад.

სურ. 6. სოფ. ახელის კოშკი. გეგმები.

фото 6. Башня сел. Ахвели. Планы.

18981



ლიანია და მისი სიმაღლე 18,75 მ შეადგენს. იგი ზემოთკენ ვიწროვდება და სიპერდიითაა დასრულებული, რომელსაც 14 საფეხური გააჩნია.

პირველი სართული გუმბათოვანი კამარითაა გადახურული. მეორე სართულის გადახურვაც გუმბათის მსგავსია, მხოლოდ იგი წვერში გაბრტყელებულია. ზემოთა სართულშუა გადახურვები კი ხის კოჭებზეა გამართული. ბოლო სართუ-

ვაჯ. სარ. კ. შატყვაძე  
სახ. საბ. რედაქცია  
ქვემოთა...



ლის გადახურვა კონუსისებურია, წაყვეთილი და ოდნავ შეღრმავებული წვეროთი.

პირველ სართულში შესასვლელი აღმოსავლეთის კედელშია მოწყობილი, მიწის დონიდან 4 მ-ის სიმაღლეზე. კარი ტრადიციულია, ოდნავ დამრეცი თაღით დახურული. სამხრეთის კედელში მცირე ზომის ნიშია ჩრდილოეთის კედელში ორი სათოფურია, მათგან მარცხენა — შეწყვილებული ხერვლით.

მეორე სართულში შესასვლელი ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებშია გაკეთებული აღმოსავლეთის კედელში სარკმელია. დასავლეთისაში ორი სათოფურია შეწყვილებული ხერვლებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კედლის სისქეში, ნიშია მოწყობილი.

მესამე სართულის სამხრეთის კედელში ორი სათოფურია, აღმოსავლეთის კედელში სარკმელია, ჩრდილოეთის კედელში — სამი სათოფური, ხოლო დასავლეთის კედელში ორი სათოფურია შეწყვილებული ხერვლებით.

მეოთხე სართულის აღმოსავლეთის კედელში სარკმელია, სამხრეთის კედელში — შეწყვილებული სათოფური. დასავლეთის კედელში ორი შეწყვილებული სათოფურია პირდაპირი და დახრილი ხერვლებით, ხოლო ჩრდილოეთის კედელში ერთი სათოფური.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო გამოშვებული სალოდეა მოწყობილი კედლებში სათოფური ხერვლებით. სალოდეების ქვეშ, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეს, საფასადო სიბრტყის წყობაში, კვადრატული შეღრმავებებია დატოვებული. ჩრდილოეთის ფასადზე კვადრატები ჯვრისებურადაა განლაგებული, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე — რომბისებურად.

**2. ბანი დასრულებული კოშკი**

ერთ-ერთი ასეთი კოშკი ავზომეტ პირიქით ხევსურეთში, მუცოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, არდოტის ხეობაზე გამავალი გზის თავზე ამართულ კედლებზე.

კოშკის მოხაზულობა გეგმაში სწორკუთხოვანია (3,4 × 3,93 მ). იგი ოთხსართულიანია. სიმაღლე 11,65 მ-ს შეადგენს.


სართულშუა გადახურვები და სახურავი ჩაქცეულია. კედლებზე დარჩენილი ბუდეების მიხედვით ისინი ხის კოჭებზე ყოფილა მოწყობილი. კოშკი მიწურბანიანი ბრტყელი სახურავით იყო დასრულებული.

კოშკში შესასვლელი კარი მეორე სართულის სამხრეთ-დასავლეთის კედელშია გაკრული, მიწის დონიდან 2,35 მ-ის სიმაღლეზე. კარი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული. მესამე სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. მეორე-მესამე სართულზე, კედლებში, რამდენიმე შედარებით მაღალი სათოფურია გაკეთებული.

კოშკის ბოლო სართულის ოთხივე კედელი დიდი ზომის, სწორკუთხოვანი, ე. წ. სანიარ ლიობებითაა დასრულებული.

**3. კიმლის კოშკი**

ნასოფლარი კიმლა არხოტის ხეობის ზედაწელში მდებარეობს, კიმლის წყლის შუაწელზე. კოშკი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია აგებული (გეგმები ჭრული და ფასადი იხ. სურ. 9, 10).




სურ. 7. არდოტი. ზვიადურების კოშკი. გეგმები, კრილი, ფახადი.

фото 7. Ардотн. Башня Звидаური. Планы, разрез, фасад.


სურ. 8. მუცო. თორღვას კოშკი. გეგმები, კრილი, ფახადი.

фото 8. Муцо. Башня Торгва. Планы, разрез, фасад.



სახურავი და სართულშუა გადახურვები დიდი ხნის წინაა ჩაქცეული. სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზე ყოფილა გამართული. ასევე ხის კოჭებზე იყო მოწყობილი ორფერდიანი სახურავი, რაც ხევსურეთისათვის გამოჩინაკლინია. სახურავ მასალად ფიჭალის ფილები ყოფილა გამოყენებული. კოშკის გეგ-






სურ. 9. კიძლა. კოშკი გეგმები.

фото 9. Чимга. Башня. Планы.

სურ. 10. კიძლა. კოშკი. კრძლი და ფასადი.

фото 10. Чимга. Башня. Разрез и фасад.



მა ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობისაა (7,4×6,6 მ). იგი ხუთსართულიანია. მისი სიმაღლე 13,5 მ-ს შეადგენს. პორიზონტალურ კვეთში მსგავსი, დიდი ზომების მქონე კოშკი, კავკასიონზე სხვაგან არასად შეგვეხვედრია.

პირველ სართულს გარედან შესასვლელი არ გააჩნია. აქ ზედა სართულიდან ჩადიოდნენ. სამხრეთის კედელში, მიწის დონეზე, სათავსიდან სისველის სა-



დინარი ხერვლია. ამავე კედელზე სამი ვიწრო, მაღალი სარკმელია გაკეთებული.

კარი მეორე სართულის სამხრეთის კედელშია, მიწის დონიდან 2,35 მ-ის სიმაღლეზე. ამავე კედელში თაღოვანი სარკმელი და სამი ნიშია. აღმოსავლეთის კედელში დუბლირებული სათოფურია და ერთი ნიში, ხოლო ჩრდილოეთის კედელში ოთხი ნიშია, მათგან ორი გეგმაში ნახევარწრიული მოხაზულობისა.

მესამე სართულის აღმოსავლეთის კედელში კარი და ორი სათოფურია, სამხრეთის კედელში — სარკმელი, დასავლეთის კედელში — სარკმელი და ნიში, ხოლო ჩრდილოეთის კედელში — ნიში, მეოთხე სართულის სამხრეთის კედელში კარია. კარის ქვემოთ საფასადე მხარეს, კედელში ოთხი კოუპის ანაბეჭდია, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ კარის წინ დაკიდული აივანი იყო მოწყობილი.

ბოლო სართულის ოთხივე მხარეს თითო სალოდეა. კედლებში რამდენიმე ნიში და სათოფური ხერვლია.)

აღწერილობანი და გრაფიკული მასალა ნათლად მიგვანიშნებს, რომ კოშკის მოყვანილი ქვეტობები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც აგებულებით, ისე კონსტრუქციებით, გადახურვით და ა. შ.

სიპერდიანი კოშკი ზევითკენ პირამიდულადაა დაეწროებული და კიბური სახურავითაა დასრულებული. აქ ბოლო სართულის ფართი თითქმის ორჯერ ნაკლებია პირველისაზე. ბანით დასრულებულ კოშკებს, რომელთა ერთ-ერთ ნიშნულად მოვიყვანეთ თორღვას ციხე მუცოში, სხვა აგებულება გააჩნია. მათი კედლები სწორად აღის ზევით ისე, რომ ბოლო სართულის ფართი პირველის ფართის ტოლია, ხოლო თუ ზედა სართულები კიბურად არის შეჭრილი კედლებში, მათი სისქეების შემცირების მიზნით, ზედა სართულების ფართი ოდნავ აღემატება ქვედას ფართს. ასეთი კოშკები ბრტყელი, მიწურბანისა სახურავითაა დახურული.

ჭიმლის კოშკი გამოჩალისია ხეცურეთისათვის. გადმოცემით მშენებლებს კოშკის პორიზონტალური კვეთის ზომები განსაკუთრებით დიდი მოსვენიათ და იძულებული გამხდარან იგი თუშური „ციხეების“ მსგავსად, ორქანობიანი სახურავით დაესრულებინათ.

თავის მხრივ, გარკვეული სხვაობა შეიმჩნევა სიპერდიან კოშკებში. ასე მაგ. ვეროს კოშკის სართულშუა გადახურვები ხის კოჭებზეა გამართული. ლეხისკარისა და ახიელის კოშკებში მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვა გუმბათოვანია. ზვიადურების კოშკის პირველ-მეორე და მეორე-მესამე სართულებს შორის სართულშუა გადახურვები გუმბათოვანია. ამ მხრივ ნაგებობა უნიკალურია, რამდენადაც მას ანალოგი არ მოეძებნება კავკასიონის მთამალაში.)

ხეცურეთში საბრძოლო კოშკების მცირე რაოდენობაა შემორჩენილი და მათ გაფრთხილება სჭირდება. სიპერდიანი კოშკები შედარებით კარგადაა შემონახული, რაც სახურავმა განაპირობა. მათი აღდგენა შედარებით იოლია, რადგანაც მათში მეტწილად სართულშუა გადახურვებიც კი იყო შემონახული კოშკის აზოვის დროს (1972-74 წლები). თორღვასა და ჭიმლის კოშკებში აღსადგენია როგორც სართულშუა გადახურვები, ისე სახურავი.

განსაკუთრებით საშურია არდოტის, ზვიადურებისა და ჭიმლის უნიკალური კოშკების აღდგენითი სამუშაოები, რადგან მათ კედლებს ბზარები გასჩენია და ატმოსფერული მოვლენები თავიანთ დამანგრეველ საქმეს ნელა, მაგრამ მაინც აკეთებენ.

აწყურის ლეთისმშობლის ეკლესია

სოფელი აწყური ახალციხის რაიონული ცენტრიდან 23 კილომეტრითაა დაშორებული. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, განთქმული აწყურის ციხიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს აწყურის ღვთისმშობლის საეპისკოპოსო ტაძარი, ანუ როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს: „თიხრევის-ნეეს ზეით, მტკვრის კიდუზე; სამხრით არს აწყვერა, ქალაქი და ციხე დიდშენი... აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოველადწმინდის ღვთის-მშობლისა“. სამწუხაროდ, დიდი მეცნიერის ამ აზრის დადასტურება დღეს შეუძლებელია, სადაღა „დიდშენი“ და „შვენიერად ქმნული“ ეკლესია, ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ძველი დიდების ნაშთი, ეამთავლისა და კაცთა უღმობლობისაგან იავარქმნილი კელტურის უბრწყინვალესი ძეგლის გასაცოდავებული ნანგრევება. ტაძარი აგებულია შემადლებულ ადგილას. მისი გადასახედიდან უღამაზესი სანახაობა იშლება ჩვენს თვალწინ... მტკვარი, აწყურის ციხე და მის ირგვლივ მწიანეში ჩაფლული სოფელი.

ისტორიაში აწყვერი, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი მხარე, პირველად ანდრია პირველწოდებულის სახელთან ერთად იხსენიება: თითქოს ანდრია ამ მოიტანა „ხატი ყოვლად წმინდისა აწყურისა ღვთისმშობლისა“, რომელიც დაასვენეს „აწყურისა ღვთისმშობლისა მკარესა მას ეკუთერსა“. ლეონტი მროველის ცნობით, აწყურის პირვანდელი სახელი ყოფილა „სოსანგეთი“, სოსანგეთი მაშინ სამთავროს ცენტრი ყოფილა, სადაც „მთავრობდა დედაკაცი ვინმე ქურთვი სამძივარი“. ძველი სოსანგეთი, შემდეგდროინდელი აწყური, პირველ საუკუნეშივე უკე ქალაქი ყოფილა. როგორც ქართული წყაროებიდანაა ცნობილი, ბიზანტიის კეისარ პერაკლეს ლაშქრობის დროს აქ საყდარი აუგიათ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ნათლად ჩანს, რომ საყდრის მავგერად უკე არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო ტაძარი. „და ვითარ მოიწია ქართლსა სანახებსა, — მიუთითებს გ. შერჩულე ნებითა ღვთისაგათა ძიებისა მას ძმასათა პოვა ეფრემ ყრმაჲ, კაბუკი ღირსი, და ღირსებისა შინა იხილვა მამაკაცებასა სრულსა მიწვენული სიწმინდით, და სიწმინდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმედი“, ან „რამეთუ დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხესა“ ეფრემი გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფეთაგანი იყო.

XI ს. ისტორიულ წყაროებში გვხვდება აბუსერი, — ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისკერისა და აწყურის ციხის პატრონი.

ისტორიული წყაროების მიხედვით ტაძარი XIII ს. ძლიერი მიწისძვრის დროს დანგრეულა. ჩამოქცევია გუმბათი, მაგრამ მალე აღდგენიათ, რადგან მესხეთის მთავარი სალოცავი ყოფილა.

1486 წელს მესხეთში შეჭრილმა ირანის შაჰმა იაყუბ ხანმა, აიკლო აწყური, მცხოვრებთა უმრავლესობა ტყვედ წაასხა და აწყურის ღვთისმშობლის ხატიც თან წაიღო.

აწყურის დანებება ათაბაგმა ღალატად მიიჩნია. განსაკუთრებით შეაწუხა იგი ღვთისმშობლის სახელგანთქმული და სასწაულთმოქმედი ხატის დაკარგვამ. მან დიდძალი ვერცხლის ფასად დაიხსნა იგი და კვლავ აწყურის ტაძარში და-



ასვენა. აღნიშნული ხატი, ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახულია.

აწყურის საეპისკოპოსო კათედრა, ათაბაგთა ბატონობის დროს, სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის მეთაურობას იჩემებდა. მას შემდეგ, რაც მესხეთის მთავრები საქართველოს მეფეს გადაუდგნენ, აწყურის ტაძარს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, ათაბაგებმა გადაწყვიტეს, მესხეთის ეკლესია მცხეთის კათალიკოსისაგან ჩამოეშორებინათ.

XV ს. ყვარყვარე ათაბაგისა და გიორგი VIII დროს ეს არ მოხერხდა, რადგან კათალიკოსმა შეაჩვენა მესხეთის სამღვდლოება, 150-ზე მეტი ასეთი ქვა, რომელიც თავის დროზე ტაძრის გრანდიოზულ შენობას ამკობდა, ზოგი მთიგანი, ჩვენ ტაძრის ეზოში დავაბრუნეთ, ხოლო ზოგი თავისი მოცულობით იმდენად დიდია, რომ სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე მისი აღვლიდან დაძვრა შეუძლებელია.

ვიმედოვნებთ, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველო გამონახავს საშუალებას აღნიშნული ქვების ტაძრის ეზოში დასაბრუნებლად.

ღვთისათვის ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევებილია შემორჩენილი. პერანგის ქვები, როგორც შეგინდანი, ისე გარედან თითქმის მთლიანად გაძარცვულია. გუმბათი და კამარება ჩამოტყვევულია, დანგრეულია კედლის ზემო ნაწილიც, კედლის შიგნით ვადაჩენილი მორთულობის ფრაგმენტები მიწით იყო დაფარული საქართველოში არსებული დიდ კათედრალთაგანის ისედაც დაზიანებული კედლები, კიდევ უფრო იზარებოდა. და სკდებოდა. ცოტაც და ძეგლი საბოლოოდ დაინგრვოდა. დრო გადიოდა, მის აღდგენა-გამაგრებაზე არავინ ზრუნავდა. ტაძრის მოვლა-პატრონობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ითავეს. მათ უკვე მეხუთე შრომითი სემესტრი გაატარეს აწყურში. დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულეს. ცოტადა დააკლდათ ტაძრის ინტერიერის გასუფთავებას... ვაქმენდის შედეგად გამოჩნდა საკურთხეველი, რამაც ჩვენში დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. გამოჩნდა ფრესკების ფრაგმენტები, ფრესკაზე ჩანს ადამიანის ფეხი. ფერები ფრესკაზე გარკვევით იკითხება. ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ ტაძარი ფრესკებით ეოფილა მოხატული. აქვე აღმოჩნდა ქვა, რომელიც დაყოფილია სამთალოვან ნაწილად. ერთზე გამოსახულია ღვთისმშობელი, მეორეზე — საეკლესიო პირი, მესამეზეც უცნობი საეკლესიო პირი, რომელსაც ხელში უჭირავს წიგნი. ეს ქვა სტუდენტებმა იპოვეს ეკლესიიდან ცოტა დაშორებით, შემდეგ წამოიღეს და ეკლესიაში დადეს. როცა ეს ამბავი სოფლელებმა გაიგეს, ამ ქვაზე სანთლების დანთება მოინდომეს, რაც მას განადგურებით ემუქრებოდა. ამჟამად ეს ქვა აწყურის სკოლის საწყობშია უფრო საიმედოდ დაცული.

ადგილობრივი მოსახლეობისაგან გავიგეთ, რომ აქ რამდენიმე წლის წინათ მოსულან მათთვის უცნობი პირები და სატყვიროთ მანქანით წაუღიათ ულამაზესი, წარწერიანი ქვა, რომელიც მანამდე, იქვე ტაძრის მახლობლად გდებულა. თუ რა ბედი ეწია მას, ვერაფერს ვიტყვი.

ციხე და ეკლესია ერთმანეთისაგან 400-500 მეტრით არის დაშორებული. საინტერესოა ერთი დეტალი, ეკლესიის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ეზოში, სოფლელებმა ერთი გაუქმებული გვირაბის შესასვლელი გვანახეს, რომელიც ამჟამად მიწითაა ამოვსებული. მისი დათვალიერება შეუძლებელია. საფიქ-



სამხსობვრო სურათი აწყურის ეკლესიაში.

Памятное фото в Личкурской церкви.

რებელია, რომ ეს გვირაბი ციხესა და ეკლესიას აკავშირებდა ერთმანეთთან. ამიტომ მისი გაწმენდა აუცილებელია.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია, სამხრეთის კედელი, რომელზეც ფრესკის ფრაგმენტია შემორჩენილი, ჯერ კიდევ ნიკო ბერძენიშვილი ამბობდა: „აწყურის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ისე დიდია, რომ ამ ეკლესიის შეცნიერულ-მონოგრაფიული შესწავლა მთელი ამ ქვეყნის (საბჭოს მემკვიდრულ შესწავლას საფუძვლად უნდა დაედოს“ მაგრამ დიდი მეცნიერის ეს ნაახრევი დღემდე არ განხორციელებულა, რადგან ტაძარი სანახევროდ მიწაში იყო ჩაფლული, თანაც ძეგლი მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. ახლო როდესაც ინტერაერი გამონთავისუფლდა შეიძლება ეკლესიის მემკვიდრული შესწავლა. მანამდე კი აუცილებელია გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება.

მიწისგან გამონთავისუფლებული კედელი სასწრაფოდ მოკიშვას საჭიროებს, რადგან საყრდენი ერთ მხარეს ფაქტიურად გამოეცალა, ამიტომ რაც შეიძლება დროზე უნდა ჩაუტარდეს გამაგრებითი სამუშაოები.

რაოდენ სამარცხვინოც არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ქართველ კაცს თავისი კულტურის ძეგლი, მისი ბედ-იღბალი არაფრად ენაღვლემა, ამის თქმას გვერდს მიინც ვერ აუვლი. სოფელ აწყურის მცხოვრებლები განსაკუთრებით ახალგაზრდობა, აბსოლუტურ გულგრილობას იჩენენ ძეგლის მიმართ. აქ ერთ მაგალითს მოვიყვან: ტაძრის ერთ-ერთ მხარეს არის პატარა სამლოცველოს მსგავსი მინაშენი. მისი სახურავი სოფლის ახალგაზრდობას თავიანთ დასასვენებელ ადგილად უქცევიათ. უფრო მეტიც, მოგვიანებით როცა ხელმეორედ მოვიწახულებთ ძეგლი ეს ადგილი სოფლელებს საჭიფო



ედგილად გაუზღდიოთ. ირგვლივ მიმოფანტულ საქმლის ნარჩენებს კი აქაურებმა დაბინძურებინა.

თავიდან მეგონა, რომ ძეგლზე წარწერები არ იყო შემორჩენილი, გარდა იმ წალბეული ქვისა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. შემდეგ უფრო დამაინტერესა ამ საკითხში. „სტაიან“ სტუდენტ-აწყურელთა ფოტოარქივში ვნახე ერთი ქვა, რომელზეც შესანიშნავად იკითხება ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, უფრო სწორად სულ სამი ასო დ. ე. ე... როგორც დავადგინე, ეს წარწერაინი ქვა ამჟამად ეკლესიიდან 100 მ დაშორებით ერთი მოსახლის, ს. თაბაგარის ეზოშია.

აწყურში ერთი შრომითი სემესტრი ვიმყოფებოდი. ვმუშაობდი ფიზიკურად, ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, ჩემი წვლილი მინდოდა შემეტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. მაგრამ ჩემი შრომა რა სახსენებელია იმათ გარჯასთან, ვინც უკვე რამდენიმე წელია ამ უნიკალური ძეგლის ნანგრევებს დასტრიალებს თავს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც უკვე კარგა ხანია დაამთავრეს უნივერსიტეტი, ზოგი ამჟამად სწავლობს იქ, რა თქმა უნდა, მე ყველას არ შეეხედდრეოვარ საეხებით გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ მათი რამოდენიმე წარმომადგენლის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ისინი დიდი სულის, თავისი ერის მოყვარული ადამიანები არიან, დიახ, ასეთებად წარმოგვიდგნენ უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული ჩემი უფროსი მეგობარი — ბერდია არაბული, რომლის რჩევითაც მოვხდი აწყურის ლეთისმშობლის ტაძრის აღდგენით სამუშაოებზე, ჟუანშერ ტიკარაძე, ქეთევან ლოლობერიძე, რახმის მემბატაიან დალი ჭეიძე, რახმის უცვლელი ეჭიმი შალვა პეტრიაშვილი, სტუდენტები, ნამდვილი უანგარო ახალგაზრდები თორელი ჰინჭარაული, თედო ისაკაძე, თამუნა თითმერია, დათო აბულაძე, დათო ტურაშვილი, მანანა თურქაძე, გელა ბაზიარი, ფიქრია ჩიხრაძე, ნანა ბოკუჩავე და სხვ.

აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემ პატივცემულ მასწავლებლებს ნელი ქველადეს და ვენერა ნოდისა, რომლებმაც თავიანთი რჩევა-დარიგებებით ხელი შემიწყვეს ჩემი ქვეყნის ისტორიის უკეთ გაცნობაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
2. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამ-ბა, თბ., 1964.
3. ქსე, ტ. 2, თბ., 1977.
4. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. „ნაცადული“, თბ., 1970.
5. შ. ლომაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე); გამ-ბა „მეცნიერება“, თბ., 1975.

**რედაქციისაგან**

ავტორი საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. როცა აწყურის ეკლესიის სამუშაოებში იღებდა მონაწილეობას, წელს იგი უკვე სტუდენტია და გამოცდების შემდეგ მორჩენილი მცირე დრო ისევ აწყურელებთან ვაატარა. სასიამოვნოა, რომ წელს გაცოდებით მეტი სამუშაოები ჩატარდა და ეძლევათ ვაგრძელდება ტრადიციულ ქვეული ეს კეთილშობილური წამოწყება.



**ალავერდის ტაძრის კომპლექსის ერთი საბინიკონსტრუქციო**

საქართველოს ისტორიის და ბუნების ძეგლთა დაცვის სამმართველოს სა-  
მეცნიერო სარესტავრაციო ბიუროში დაწყებულია მუშაობა ალავერდის ტაძრის  
კომპლექსის რესტავრაციის პროექტის შედგენისათვის. მომავალი პროექტი,  
ფართო კარდინალური სახით გაითვალისწინებს როგორც წმინდა მხატვრულ-  
არქიტექტურული მხარის შესწავლა-აღდგენით სამუშაოთა წარმოებას, ასევე  
ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის გლობალური სურათის ფიქსაცია და სა-  
თანადო ტექნიკური დოკუმენტაციის აკადემიურ დონეზე შედგენას. ერთი სიტ-  
ყვით, დღის წესრიგში დგას ტაძრის კომპლექსის მოვლა-პატრონობის სტატუ-  
სის მაღალი რანგით რეალიზაციის უცილობელი პირობა.

ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობა ყველა განსახილველ სფეროში (მხატ-  
ვრული, თუ ტექნიკური) დაკავშირებულია ბევრ ყურადსაღებ, საგულისხმო  
ფაქტორთან, რომელთა არსებობის სინამდვილე არ უნდა იყოს მაინცდამაინც  
მოულოდნელი, ანდა (სამწუხაროდ) არაკანონზომიერი. რაც არ უნდა იყოს,  
ძეგლი თავის არსებობის ათ საუკუნეს ითვლის, და თუნდაც არაფერი ვთქვათ  
ემათა უღმობელ ზედრზე, დროის ფაქტორი მაინც თავისას ითხოვს და აკი  
არანაკლებ ვერაგულ. ერთის შეხედვით უწყინარ, ავის მომასწავებელ უჩინარ  
აგენტად მოველინა ძეგლს.

ათი საუკუნის განმავლობაში, სრულიად ბუნებრივი თვითონ ძეგლს —  
ნაშენს, როგორც აზროვნების ფენომენის ტექნიკური სფეროს იერსახეს, კი-  
დეც რომ არაფერი მოსვლოდა, ტაძრის შემოგარენი შეიცვლიდა თავის ბუნებ-  
რივ, კლიმატურ, მორფოლოგიურ თუ მეტეოროლოგიურ თვისებრივ პირობებს.  
რესტავრაციის პროექტზე მუშაობისას მრავალი ტექნიკური შინაარსის საკით-  
ზე გამაზვილდება ყურადღება, რასაც ალბათ მოჰყვება სათანადო საპროექტო  
გადაწყვეტანი; წინამდებარე სტატია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს  
ერთ ფრიად საინტერესო საკითხს, რომელიც იმდენად გლობალური ხასიათის  
მატარებელია, რომ სცილდება საპროექტო ბიუროს არსებულ სტატუსს და  
მოითხოვს რესპუბლიკური დაქვემდებარების, სათანადო უწყებათა რადიკალურ  
აქტიურ ჩარევას, მთელ რიგ ღონისძიებათა დასახვასა თუ პრაქტიკულად  
განხორციელებას, რასაც უდაოა, ალავერდის ტაძრის კომპლექსი უცილობლად  
იმსახურებს.

საკმარისია გულისყურით გავეცნოთ ტაძრის კომპლექსის, როგორც ტექ-  
ნიკური ნაგებობის მაღალი რანგის ნიმუშს, რეგიონის გეოგრაფიულ, მორფო-  
ლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ თვისობრივ სფეროს გათვალისწინებით, აგრე-  
თვე კომპლექსის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის სურათს და დავრ-  
წმუნდებით საკითხის დასმის აუცილებლობაში.

ალავერდის ტაძრის კომპლექსი განლაგებულია მდინარე ალაზნის ხეობის  
შუა წელის გავრცელების პირველადი ტერასის უმდაბლეს უბანზე და გარემო-  
ცულია ბუნებრივად ვრცელი, ამჟამად სავარგულეზად გამოყენებული ვაკე მი-  
დამოთი, რითაც კომპლექსის მიმართ შექმნილია საკმაოდ ვრცელი თავისუფა-



გენპლან.

გენგეგმა.

ლი სივრცე, ატმოსფერულ თუ კლიმატურ მოვლენათა განვითარება-ჩამოყალიბებისათვის, რაც საუკუნეების მანძილზე, უმეტეს შემთხვევაში, არასასურველ პირობებს ქმნიდა და ქმნის ძველის, როგორც ნაშენის ფიზიკური ორგანიზმის არსებობის სინამდვილეში.

ტაძრის კომპლექსის ირგვლივ, 3-4 კმ რადიუსით არ შეინიშნება რელიეფის მკვეთრი ცვლილების რაიმე დამახასიათებელი ნიშნები, როგორც მორფოლოგიურ, ისე ფლორის გავრცელების სფეროში. ეს გარემოება, უდაოა, ეამთა სვლის ფონზე აყალიბებდა და სტაბილიზირებას უქმნიდა ტერიტორიაზე გრუნტების წყლების შედარებით მაღალი დონის გავრცელების არეალს.

საგულიზხმოა აგრეთვე, ტაძრის კომპლექსიდან სამიოდე კილომეტრით დაშორებული, მდინარე ალაზნის წყლას ზედაპირის ნიშნულის სიახლოვე, ტაძრის გარემოს მიწის ზედაპირის ნიშნულთან; ამ პირობითაა გამოწვეული მიდამოს ხშირი დატბორვა წყალდიდობისას.

და ბოლოს, ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომლის არსებობას ეძლევა წინამდებარე სტატია. ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა ფონზე, ყურადსაღებია





ტაძრის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთის გასწვრივ, ათიოდ მეტრის დაშორებით, ერთი შეხედვით უწყინარი მცირე-რამ მდინარის არსებობა მდინარის კალაპოტი ორიოდ მეტრით თუ იქნება ჩაღრმავებული სავარაუდოდ საერთო ზედაპირიდან.

მცირე ქანობის გამო მდინარე მოედინება მდორედ. თითქმის შეუმჩნეველად, მოწითალო პლასტიკურ თიხით დახრამულ მასივში. წყალდიდობისას კალაპოტი ივსება და გალავნის სიახლოვეს ჩნდება მცირე ტბორები. გალავნის შიგნით, ტაძრის აღმოსავლეთ კალთასთან, არსებობს გვიანდელი ხანის, მიწაში ჩაღრმავებული აკლდამა, რომლის ფსკერზე, კარგ ამინდშიც კი შეინიშნება წყლის მცირე სარკეები.

მდინარის კალაპოტის ფერდების მორფოლოგიაზე, ფიზიკური, ზერეულე დაკვირვებაც კი უყოყმანოდ ბადებს აზრს მდინარის გვიანდელი წარმოშობის შესახებ, — ტაძრის მშენებლობის პერიოდთან შედარებით.

უდაოა, მდინარე გაჩნდა საკმაოდ გვიან, მთიან რეგიონში (თეთრი წყლების შემოგარენი) მომხდარი ტექტონიკური თუ პიდროგეოლოგიური, ანომალიურ მოკლენათა ფონზე. მდინარის გვიანდელი გენეზისის რეალობას ადასტურებს ერთი უდაო ლოგიკური ფაქტიც: ძნელი დასაჯერებელია ტაძრის მაშინდელ მშენებლებს, ისეთი გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა, როგორც ალავერდია, ისეთ შედარებით სუსტ ქანებზე, როგორც მოწითალო პლასტიკური თიხებია, მდინარის სიახლოვეს წამოეწყოთ, თუნდაც ეს მდინარე საკმაოდ მცირე და უწყინარი ყოფილიყო; მაშინ, როცა ტაძრის დაკლებას მდინარიდან განსაზღვრულ მანძილზე, არაფერი არ ზღუდავდა (იხ. გენგეგმა).

ერთი საგულისხმო მომენტიც — ალავერდის ტაძრის გრანდიოზული ნაგებობის საძირკვლის ფუძე, მიწის (ეზოს) ზედაპირიდან, არცთუ ისე მტკიცე გრუნტში, ჩაღრმავებულია სულ რაღაც 1,6-1,7 მეტრამდის; მშენებლის მაღალი ვრუდიციის გამოვლენის მდიდარ სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ტექნიკური აზროვნების ეს ფენომენი. მარჯვენადალოცვილმა ოსტატმა, შეგნებულად განაზრია საძირკვლის ფუძე გრუნტის წყლების მაღალ დონესთან კონტაქტს, — დიახ, ეს გარემოება მხოლოდ ამ პირობით უნდა აიხსნას — ასეთ კვალიფიკირებულ მშენებელს, დაუჯერებელია მდინარის სიახლოვე ყურად არ ელო სამშენებლო მოედნის შერჩევის დროს.

მდინარე გაჩნდა საკმაოდ გვიან და მან დაამყარა მოწესრიგებული კონტაქტი გრუნტების წყლების ადრინდელ სტაბილიზებულ დონესთან, ამ მოსაზრებას ადასტურებს 1985 წლის ივლისის თვეში ჩატარებული გეოლოგიური კვლევის მასალებიც, რომელთა მიხედვით, წყლის დონე მდინარის კალაპოტში და ტაძრის ქვეშ ერთი და იგივეა; უნდა ვიფიქროთ, რომ წყალდიდობისას წყლის დონე ორივე პოზიციაში ერთდროულად აიწიეს და უკეთეს შემთხვევაში, თუ კი ამას ვაჩვენებთ ინებებს, ტაძრის საძირკვლის ფუძეს ვერ მისწვდება.

შესაძლებელია, მდინარეს ადრინდელ პერიოდში, კალაპოტის ორიენტაციის მხრივ გალავნის კედლის მიმართ შედარებით ნაკლებად აგრესიული პოზიცია ეკავა, მაგრამ სადღეისოდ მდინარე მეტად მკვეთრად, ჭიჭურ უტევს გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ბურჯის მიდამოს, სადაც ბურჯის დასაცავად მოგვიანებით, არცთუ ისე მტკიცე საყრდენი კედელი ამოუშენებიათ, ეს



გარემოებაც მიუთითებს მდინარის გვიანდელ, დაუყოხავ, კვიპატი სტუმრის სუბიექტურ ბუნებაზე.

ყოველივე ზემოთქმულს, თუ კი ეს აუცილებელი შეიქმნება, დადასტურებს სათანადო საუწყებო ჰიდროგეოლოგიური სამსახური, რის შედეგაც, მთელი დამაჯერებლობით უნდა დაისვას საკითხი მდინარის განრიდების შესახებ ტაძრის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან.


მდინარე უნდა მოსცილდეს ტაძრის კომპლექსს ჯერ ერთი იმიტომ, რომ მდინარის არსებობა ტაძრის სიახლოვეს, როგორც ფიზიკურ-მექანიკური ფაქტორის თავისი მოსალოდნელი თუ არსებული მავნე მოვლენებით, — დაუშვებელია. მეორეს მხრივ, რადგან მდინარე გვიანდელი წარმოშობისაა, ხომ არ ჩათვლება იგი ტაძრის კომპლექსის მიდამოს პირვანდელი იერსახის დამამახინჯებელ ობიექტად? თუნდაც იმიტომ, რომ მდინარე თავისი მორფოლოგიით მეტად უსახურია, რომ არაფერი ვთქვათ მდინარის აგრესიულ ბუნებაზე, როგორც მექანიკური სტრუქტურის მქონე ობიექტზე.

მდინარის მოცილება ტაძრის კომპლექსის სიახლოვიდან, — პრაქტიკულად — რეალურად ყოველმხრივ შესაძლებელია, ამის საშუალებას იძლევა რელიეფი, მდინარის ზემო წელში სათავეებთან ახლოს, ძირითადი ნაკადის მიმართულების შეცვლით.

მდინარის ჩამოცილების შემდეგ, მკვეთრად გამოიხატება ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის სურათი, მოიხსნება ერთი მთავარი ფაქტორთაგანი. ამ მიზეზთა კომპლექსიდან, რომელიც ესოდენ შექირვებულ სურათს ქმნის ტაძრის ნაგებობისა.

წინამდებარე სტატიის ავტორს მინდობილი აქვს, ტაძრის კომპლექსის რესტავრაციის პროექტის საინჟინრო-ტექნიკური მხარე, რომელიც პირუთვნელად აოსურნეა, საკითხის არსი ეცნოს სპეციალისტთა სათანადო წრეს და საქმეში ჩახედულ პირთ, — რამეთუ მათი ჯეროვანი ყურადღების კეშმართად ღირსია ალავერდის ტაძრის კომპლექსი.





ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს შე-  
ნობა. 1897-1900 წწ.

ფოტო მ. ლორთქიფანიძის.

Дом Кутаисского губернского суда  
1897—1900 гг.

фото М. Лордкипанидзе.

## ნიხილ ნიკოლეიშვილი

### XIX საუკუნის ქუთაისის „სამეფო ადგილი“

ქუთაისის ისტორიული ქალაქის არქეოლოგიური შესწავლისა და მისი ძველი უბნების რესტავრაცია-ადაპტაციის გეგმაზომიერი წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ქუჩის, ცალკეული ადგილისა და ნაგებობის შესწავლის საქმეს. ამ წერილში ჩვენ გვიჩვენებთ ქალაქის ძველ უბანში მე-19 საუკუნის არქიტექტურული ნაგებობის — ქუთაისის ყოფილი საგუბერნიო სასამართლოს შენობის აგების საკითხს. კონკრეტულად, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ამ შენობის ადგილმდებარეობის საკითხით შემოვიფარგლებით.

ადგილი, სადაც ეს შენობაა, „სამეფო ადგილის“ სახელწოდებით არის ცნობილი დოკუმენტებში. ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ნაზარი-შვილი გასული საუკუნის 90-ან წლებში წერდა, რომ „ქუთაისში ლუკა ასათიანამდე (ქალაქის თაგი 1879-1893 წლებში — მ. ნ.) „სამეფო ადგილების“ არსებობის შესახებ არაეინ იცოდა, მაგრამ მან მეფის ნაცვლის კანცელარიის არქივში იპოვა მასალები ამ ადგილებს შესახებ და მოახერხა მისი გადაცემა ქალაქისათვის“.

საქართველოს ცენტრალურ არქივში მუშაობისას ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, მეფისნაცვლის კანცელარიის არქივში მიგვეგნო იმ საბუთებისათ-



ვის, რომლითაც თავის დროზე უსარგებლია ქუთაისის ქალაქის თავს ლუკა ასათიანს. როგორც საბუთებშია მითითებული, „სამეფო ადგილი“ იმ ადგილზე ეწოდებოდა, სადაც „სამეფო სახლი“ მდგარა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ეს სახელწოდება საქართველოს მეფეს, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს არ უკავშირდება. ე. ი. იმ სახლს, რომლის შესახებაც ჩვენ გვექნება საუბარი, „სამეფოს“ ზედწოდება თავიდანვე არ ჰქონია, იგი მას შემდეგ მიუღია.

მე-19 საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1810 წ.), როდესაც ქვეყანამ მოსვენება ვერაღებოდა აზერბაიჯანის, იწყება ქალაქის განაშენიანება, უმთავრესად, ხის შენობებით. ხორციელდება ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია და ქუჩების გადაგეგმარება მდინარის მარცხენა ნაპირზე. საფრანგეთის კონსული თბილისში, ვაშბა, წერდა: „ქუთაისის ზრდა რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან შესამჩნევია. ეს მნიშვნელოვანწილად თავად გორჩაკოვის მცდელობისა და განსაკუთრებული ზრუნვის შედეგია. მან ააშენებინა ყაზარმების კორპუსები. საავადმყოფოები და გარნიზონისათვის აუცილებელი სხვა შენობები. ბევრმა ოფიცერმაც თავისთვის ააშენებინა ხის სახლები, უმთავრესად, რიონის მიმდებარე მშვენიერ ველზე, თითქმის ყველა სახლს აკრავს ბაღი...“

...გორჩაკოვის ჩამოსვლამდე, ე. ი. ათიან წლებამდე, ქუთაისის ქუჩები მომეტებულად დაკლავნილი იყო და სახლები ყოველგვარი გეგმის გარეშე განლაგებული“.

მომდევნო პერიოდში იწყება შენობების შედარებით გეგმიური განლაგება და ქუჩების გადაგეგმარება მდინარის მარცხენა და მარჯვენა ვაკის ნაპირებზე და ქალაქის ცენტრში. დიუბუა დე მონპერეს გეგმაზე (1839 წ.), ყოფილი ვაგარიის (ახლა მაიაკოვსკის) ქუჩის ბოლოში, მდინარის მარცხენა ნაპირზე დგას სახლი, რომელშიც მე-19 საუკუნის 20-იან წლებში იმერეთის მმართველობა ყოფილა მოთავსებული. ამ სახლში მიუღია 1823 წელს იმერეთის მაშინდელ მმართველს, თავად გორჩაკოვს, საფრანგეთის კონსული ვაშბა. ხოლო 1857 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ვაგარიის სენათის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადგეშქელიანი. მაგრამ შემდეგ ქუთაისის გუბერნატორებს ეს შენობა დაუტოვებიათ, ალბათ, იმ საბედისწერო შედეგის გამო, რაც მოჰყვა ვაგარიისა და დადგეშქელიანის ზემოხსენებულ შეხვედრას. ამიტომ იგი სხვა დანიშნულებისათვის გამოუყენებიათ, კერძოდ, სახლი საზოგადო საკრებულოდ — კლუბად გადაუქციებიათ.

1861 წლის 3 მარტს ამ გადაკეთებულ შენობაში, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ხელმძღვანელობით, პირველად გაიმართა თეატრალური წარმოდგენა ქუთაისში. ამ წლიდან იმართებოდა აქ წარმოდგენები და ლიტერატურული საღამოები, ამან განაპირობა 60-იან წლებში ქუთაისის დრამატიკული ენერგიული საქმიანობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქალაქში პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ 1870 წელს საზოგადო საკრებულოს შენობას გაუჩნდა ხანძარი და იგი იმდენად დაზიანდა, რომ წარმოდგენების გამართვა შეუძლებელი გახდა. შენობა მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, ერთი წლის შემდეგ ეს შენობა აღადგინეს.



როგორც ცნობილია 1871 წელს, კავკასიის ესტუმრა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე. ვათვალისწინებელი იყო, რომ სპეციალური ესტუმრებოდა, ამიტომ ქალაქის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზრუნვა, ღირსეულად მიეღო რუსეთის ხელმწიფე. გადმოცემით იმ დროისათვის ქალაქში არ აღმოჩნდა ისეთი შენობა, სადაც შეიძლებოდა იმპერატორის სათანადო მიღება და დაბინავება. და აი, ქალაქის მესვეურებმა გადაწყვიტეს, ხანძრისაგან დაზიანებული ყოფილი გუბერნატორის შენობა აღედგინათ. მართლაც, შენობა საფუძვლიანად გადააკეთეს, აღადგინეს და მეფეც იქ მიიღეს, დააბინავეს. რადგან შენობის გადაკეთება მეფის მისაღებად იყო ვათვალისწინებული, განახლებულ სახლს „სამეფო სახლი“ უწოდეს, როცა ალექსანდრე მეორე ქუთაისიდან გაემგზავრა, შენობა ისევ საზოგადო საკრებულოდ გადააკეთეს, მაგრამ სახელად „სამეფო სახლი“ შეჩა. ისევ დაიწყო დრამატულმა წრემ წარმოდგენების გამართვა ამ შენობაში. 1875 წლიდან „სამეფო სახლში“, რომელიც საზოგადო საკრებულოს როლს ასრულებდა, იმართებოდა ქუთაისის თეიმმართველობის დამფუძნებელი და საბჭოს პირველი სხდომები.

1877 წელს, როდესაც რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა, „სამეფო სახლი“ პოსპიტლად გადააკეთეს, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, ცხადია, შენობა თავისუფლდება ამ უკანასკნელი ფუნქციისაგან, მაგრამ ამ დროიდან თეატრის მშენებლობას ეყრება საფუძველი გიმნაზიის ქუჩაზე (დღევანდელი ოპერის თეატრი), და ამდენად, არ დასმულა საკითხი „სამეფო სახლის“ თეატრალური ღონისძიებებისათვის გამოსაყენებლად. 1882 წლის მისში აქ „საზოგადო საკრებულოს“ ეწოდა, სავანგებოდ აგებულ ფიცრულში, დაიდგა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები უნგრელი მხატვრის მ. ზინის მიერ.

80-იანი წლებიდან დაიწვა საკითხი „სამეფო სახლის“ და მისი ტერიტორიის ქალაქის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. 1883 წელს კავკასიის მთავარმართებლის კანცლარიამ სთხოვა ქუთაისის გუბერნატორის სპეციალურად: თუ ის არ მოათავსებდა რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას „სამეფო სახლში“, მაშინ მოლაპარაკებოდა ქალაქის გამგეობას, რათა ამ უკანასკნელს შეესყიდა „სამეფო სახლი“ თავისი ადგილმდებარეობით. მაგრამ ქალაქის გამგეობამ უარი განაცხადა ამ შესყიდვაზე. ქუთაისის მომდევნო გუბერნატორმა გროსმანმა განკარგულება ვასცა, მოეხდინათ შეფასება „სამეფო სახლისა“, მაგრამ სულ მალე ეს შენობა ისევ ხანძარმა იმსხვერპლა. ამის შემდეგ ქალაქის თავმა ლ. ასათიანმა დასვა საკითხი ხანძრიდან დარჩენილი შენობისა და მისი კუთვნილი ადგილის („სამეფო ადგილი“) ქალაქის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

1889 წელს გუბერნატორმა ვასცა განკარგულება, რათა „სამეფო ადგილი“ და აქ არსებული შენობის გადარჩენილი ნაშთები გადასცემოდა ქალაქს უსასყიდლოდ, შემდეგი პირობით: არ გაცემულიყო ეს ადგილი კერძო პირებზე — დასასახლებლად. 1889 წლის 25 აპრილს ქალაქმა ჩაიბარა „სამეფო ადგილი“ უსასყიდლოდ — საზოგადოებრივი ბალის გასაშენებლად. ქალაქს ეკრძალებოდა გაესხვისებინა ეს ადგილები კერძო პირებზე, მაგრამ არც ბალის გაშენება განხორციელდა იმ მასშტაბით, რასაც საგუბერნიო მმართველობა მოითხოვდა.



ცხადია, ქალაქს შეეძლო, გაეცა ეს ადგილი კერძო პირებზე, რადგან ქალაქის ცენტრში მაშინ 1 კვადრატული საყენა მიწა 10 მანეთი და მეტროპოლიტენში ფასობდა, აქ კი 2000 კვ. საყენი მიწის ნაკვეთი იყო მის განკარგულებაში. ქალაქის გამგეობა ვარაუდობდა, აქ პაროზის თანახმად, საზოგადოებრივი ბაღი გაეშენებინა, იგი წინააღმდეგი იყო ამ ადგილის გასხვისებისა. 90-იანი წლებიდან ისმება საკითხი ქუთაისში, როგორც გუბერნიის ცენტრში, საგუბერნიო სასამართლოს დაწესებულებებისათვის აეშენებინათ საკუთარი ბინა — სახელმწიფო სასახლე. იმ დროისათვის ქუთაისში არც ერთ საგუბერნიო დაწესებულებას, თვით გუბერნიის მმართველობასაც კი, არ გააჩნდა შესაფერისი ბინა, ასეთ პირობებში საოლქო სასამართლოსათვის სპეციალური მონუმენტური არქიტექტურული სახელმწიფო შენობის აგების მოთხოვნა იმას აღსატურებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა მეფის მთავრობა თავისი ინტერესებს დამცველ ორგანოს — სასამართლო უწყების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, რომელიც დღე სახსრებთან იყო დაკავშირებული.

იუსტიციის სამინისტრომ თანხმობა განაცხადა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თხოვნაზე შენობის აგების შესახებ, მაგრამ ადგილის შერჩევა ერთობ გაძნელდა. რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ქალაქისათვის. ისე სასამართლო უწყებისათვის. იუსტიციის სამინისტრო ცდილობდა, რაც შეიძლება იაფად შეეძინა შენობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი. ამიტომ იგი თანახმა იყო სასამართლოს შენობა აგებულიყო ქალაქის განაპირა ტერიტორიაზე. დღევანდელი ურიცხის ქუჩაზე, რომელიც მაშინ ვიტუშინსკის მფლობელობაში ყოფილა. მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა, აგრეთვე ეპურები, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ნაწილი და თვით ქალაქის გამგეობა ამის წინააღმდეგ წავიდა. ქალაქის საბჭო ამ საკითხის გამო რამდენჯერმე შეიკრიბა. ცალკე ბრძოლა გაიწვია სასამართლო დაწესებულებათა დარბაზის აშენებისათვის მღ. როინის მარტყენა და მარჯვენა მხარეთა მცხოვრებლებს შორის. თითოეულ მათგანს უნდოდა სასამართლო შენობა მასთან ახლოს ყოფილიყო შესაფერის ადგილზე. ამით ისარგებლეს კომისიის წევრებმა და ქალაქს წაუყენეს მძიმე პირობები. მოსთხოვეს მას, დაეთმო სასამართლოს შენობის ასაგებად ქალაქის ცენტრში არსებული „სამეფო ადგილი“, სადაც ქალაქის გამგეობა ფიქრობდა საკუთარი — საქალაქო შენობის აგებას, მაგრამ იმდენად ინიშვნელოვანი იყო ქალაქისათვის დასმული საკითხი, რომ იგი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო.

მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ქალაქის საბჭოს ზოგიერთი გავლენიანი პირი, (ე. ლორთქიფანიძე, დ. ნაზარიშვილი და სხვები). წინააღმდეგი იყვნენ ამ დათმობისა, ისინი მოითხოვდნენ, სასამართლოს შენობა ქალაქის ცენტრში, სხვა ადგილზე აგებულიყო, კერძოდ, — თბილისის ქუჩაზე (ახლა კიროვის ქუჩა). ხოლო „სამეფო ადგილზე“ მხოლოდ საზოგადოებრივი ბაღი გაეშენებინათ. ქალაქის საბჭოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გამგეობას და მიღებულ იქნა დადგენილება: ქალაქის კუთვნილი „სამეფო ადგილი“, რომლის ღირებულებაც 40 ათას მანეთს შეადგენდა, გადასცემოდა სასამართლოს უწყებას 20 ათას მანეთად, მაგრამ სასამართლოს უწყება 10 ათას მანეთზე მეტს არ იძლეოდა, ქალაქი კი ასეთ პირობაზე არ იყო თა-



ნახმა, ვინაიდან ქალაქის მკვიდრთათვის სასურველი იყო სწორედ ადგილზე აგებულიყო ხსენებული შენობა და ამას ქალაქის სეზონური ნაწილიც მოითხოვდა, 1897 წელს მიიღეს დადგენილება, რათა ადგილის ღირებულების მეორე ნახევარი — 10 ათასი მანეთი ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს — მოქალაქეებს — გადაეხადათ. გაიმართა ხელისმოწერა 50 მანეთიდან 500 მანეთამდე და შეგროვდა 10 ათასი მანეთი. მალე შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვიდა თანხმობა ქალაქის გამგეობაში „სამეფო ადგილზე“ საოლქო სასამართლოს სახელმწიფო დარბაზის აშენების შესახებ, მთავრობის მიერ პირველად გამოყოფილ იქნა 220 ათასი მანეთი.

1897 წლის 18 მაისს გაზეთი „კვალი“ იუწყებოდა, რომ უკვე გადაწედა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს სახელმწიფო სასახლის მშენებლობა.

სასახლის მშენებლობა სამოქალაქო ინჟინერ ფრიცის პროექტით განხორციელდა. იგი 1898 წელს დაიწყო და დასრულდა 1900 წელს.

ამგვარად, 1898-1900 წლებში „სამეფო ადგილზე“ აგებულ იქნა ქვის სამსართულიანი კაპიტალური შენობა — ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს სახელმწიფო სასახლე.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ეს ნაგებობა ქუთაისის კულტურის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება. ამასთან იგი მე-19 საუკუნის კლასიკური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლია, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობით ეს ნაგებობა სახელმწიფო დაცვას ექვემდებარება, ამჟამად ამ შენობაში საკონსტრუქტორო ბიურო და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საფონდო განყოფილებაა მოთავსებული, მომავალში იგი მთლიანად მუზეუმს ეთმობა.

**ქართლის ძვ. წ. V-I სს. კერამიკა**

არქეოლოგიური კერამიკა თავისი მრავალრიცხოვნების, მრავალფეროვნებისა და არაკონსერვატიულობის გამო ერთ-ერთი საუკეთესო დამატარიღებელი მასალაა.

კერამიკულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური ხანის ძეგლების (განსაკუთრებით ნამოსახლარების) შესწავლისას, რადგან ამ ხანის არქეოლოგიურ მასალას შორის იგი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. ანტიკური ხანის მატერიალური კულტურიდან მთელი რიგი ნიშნების მიხედვით გამოირჩევა ძვ. წ. V-I სს. არქეოლოგიური მასალა, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი კერამიკა შეესაბამება.


ქართლის ძვ. წ. V-I საუკუნეებით დათარიღებული კერამიკა ფორმალურ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძველზე ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება: 1. — ძვ. წ. V ს. — ძვ. წ. IV ს-ის I ნახევარი; 2. — ძვ. წ. IV ს-ის II ნახევარი — ძვ. წ. III ს-ის დასაწყისი; 3. — ძვ. წ. III ს. — ძვ. წ. II ს-ის დასაწყისი; 4. — ძვ. წ. II ს. — ძვ. წ. I ს-ის I ნახევარი; 5. — ძვ. წ. I ს-ის II ნახევარი — ახ. წ. I ს.

ამჯერად, ჩვენ შევეჩერდებით მხოლოდ ძვ. წ. V-I საუკუნეებში დადასტურებული მოხატული კერამიკის წარმომავლობისა და გავრცელების საკითხებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი მოხატული ჰერმეტიკი ძვ. წ. IV ათასწლეულიდანაა ცნობილი. მცირე რაოდენობით გვხვდება ძვ. წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე და ფართოდაა გავრცელებული შეაბრინჯაოს ხანაში. მომდევნო პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში ამგვარი კერამიკა თითქმის აღარ გვხვდება. იგი ადრეანტიკურ ხანაში კვლავ იჩენს თავს ქართლში და შემდგომში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. ასეთი დიდი ქრონოლოგიური წყვეტილის შემდეგ მოხატული კერამიკის გაჩენა ქართლში გარე სამყაროს უნდა დაუკავშიროთ. კერძოდ იმ რეგიონს, სადაც მოხატული კერამიკის წარმოების დიდი ტრადიციები შეინიშნება და ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც ხდება მისი წარმოება.

მოხატული კერამიკის გავრცელებას ქართლში მკვლევარები სხვადასხვა რეგიონიდან (ურარტუ, ფრიგია, ბერძნულ-იონიური სამყარო) ვარაუდობენ. ჩვენი აზრით, მოხატული კერამიკა ქართლში ირანიდან უნდა იყოს გავრცელებული, სადაც იგი ადრეენეოლითური ხანიდან აქემენიდური ხანის ჩათვლით არის გავრცელებული. ახალი გამოკვლევების შედეგად<sup>1</sup>, ირანული მოხატული კერამიკა დაუახლოვდა ქართულს, როგორც ტერიტორიულად, ისე ქრონოლოგიურად. ჩვენთვის საინტერესო ხანაში აქემენიდური ირანის ტერიტორია, შესაბამისი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, სამ რეგიონად არის გაყოფილი, რომელთაც მოხატვის მკვეთრად ჩამოყალიბებული სამი სტილი შეესაბამება: 1. „ფესტონური“, რომელიც გავრცელებულია ხუზისტანში, ფარსში, ქერმანში; 2. „არდებილის“ — გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავ-






სურ. 1-8.

Фото. 1-8.

ლეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანში (ირანისა და საბჭოთა აზერბაიჯანის ნაწილი — შდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო); 3. „სამკუთხედებით მოხატული კერამიკა“, გავრცელებულია სამხრეთ და დასავლეთ აზერბაიჯანში (ირანი), ჩრდილოეთ ქურთისტანში და აღმოსავლეთ თურქეთში<sup>1</sup>.

შოელი რიგი ნიშნების ერთობლიობის და ქრონოლოგიური სიახლოვის გამო, მიგვაჩნია, რომ ქართლში მოხატული კერამიკა ვრცელდება იმ რეგიონ-



სურ. 9-16.

Фото. 9-16.

ნიდან, რომლისათვისაც, აქემენიდურ ხანაში „სამკუთხედებით მოხატული კერამიკა“ დამახასიათებელი. ეს არის დღევანდელი ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთის შესაბამისი ტერიტორია.

ქართლის ანტიკური ხანის ავგლებზე გამოვლენილი მოხატული კერამიკა მონოქრომულია. გეომეტრიული სტილის მოხატულობა წითელი საღებავითაა შესრულებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კურკული, რომელზეც საღებავით სამკუთხედებია დატანილი. ამგვარ მოხატულობაში შეიძლება ხვთი



ტიბი გამოიყოს: I. — წვეროთი პირისაყენ მიმართული შეესებულე ტოლფერდა სამკეთხედებით მოხატული ჭურჭელი. აღმოჩენილია კუმისხეობის ტყეში (სურ. 2). კამარახევი (სურ. 3, 4). ვარსიშანთყარში (სურ. 6), ასურეთში (სურ. 8), თბილისში (სურ. 9), შავსაყდარაში (სურ. 7); II. — წვეროთი ძირისაყენ მიმართული შეესებული ტოლფერდა სამკეთხედებით მოხატული ჭურჭელი. აღმოჩენილია ვანში (სურ. 10), დირბში (სურ. 11) და ითხვისში; III. — შეესებული მართკუთხა სამკეთხედებით მოხატული ჭურჭელი აღმოჩენილია კავთისხევი („დაპრილების“ სამაროვანი) (სურ. 12). IV. — შეესებული შეწყვილებული სამკეთხედებით მოხატული ჭურჭელი. აღმოჩენილია სამადლოში (სურ. 13, 14); V. — შევრონებით მოხატული ჭურჭელი (სურ. 15).

ამდენად, ქართული გეომეტრიული სტილის მოხატულობაში გამოიყოფოდა ერთი ჯგუფი კერამიკისა, რომელიც შემკვლია „სამკეთხედებით“ და თავის მხრივ ხუთ ტიპად იყოფა. „სამკეთხედებით“ მოხატული ჭურჭელი მხოლოდ I-III ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხვდება. მათ შორის ყველაზე ადრეულია (I ქრონოლოგიური ჯგუფი) I ტიპის მოხატული კერამიკა, რომელიც სტილისტურად აქემენიდური ირანის ტერიტორიაზე გავრცელებული „სამკეთხედებით“ მოხატული კერამიკის ანალოგიურია (სურ. 16), როგორც ჩანს, იგი ქართლში მისი მიბაძვით არის დამახადებული და ირანული მოხატული კერამიკის რეფლექსს წარმოადგენს.

ქართული მოხატული კერამიკის განვითარებაში ექვსი ეტაპი გამოიყოფა: I ეტაპზე (I ქრონოლოგიური ჯგუფი) იგი იმეორებს ირანული მოხატული კერამიკის დეკორს, II ეტაპზე (II ქრონოლოგიური ჯგუფი) ჩნდება მისი ქართული ვარიანტი (II ტიპის მოხატული კერამიკა), ახალი დეტალით (წიწვოვანი ორნამენტი), რომელიც მხოლოდ ქართული მოხატული კერამიკისათვის არის დამახასიათებელი. III ეტაპი (II ქრონოლოგიური ჯგუფის მიწურული) II ეტაპის განვითარებაა (III ტიპის მოხატული კერამიკა), რომლის დროსაც ალბათ ჩნდება შევრონები (V ტიპის მოხატული კერამიკა) და ეს დეკორი მომდევნო ხანაში წამყვან ადგილს იკავებს. IV ეტაპის (III ქრონოლოგიური ჯგუფი) კერამიკაში ერთიანდება ე. წ. „სამადლოს ტიპის“ მოხატული კერამიკა, რომელიც მოიცავს IV-V და ნაწილობრივ III ტიპის მოხატულ ჭურჭელს. ამ ეტაპის ქართლის მოხატული კერამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა ეტაპების მოხატულობასთან და მისი განვითარების პროდუქტს წარმოადგენს. ამასთან იგი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარულია, რომ ალბათ, მის ფორმირებაზე სხვა ვარემოებებაც აბდენს ზემოქმედებას. მიგვაჩნია, რომ „სამადლოს ტიპის“ მოხატული კერამიკა წინაეღონისტური ხანის ქართლში გავრცელებული მოხატული კერამიკისა და ელინისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბებული მოხატული კერამიკის სინთეზს წარმოადგენს, რომელშიც ადგილობრივ, ადრეულ ელემენტს განმსახლვრელი როლი აქვს. ეს უნდა იყოს მიზეზი ქართული, ელინისტური ხანის (III ქრონოლოგიური ჯგუფი) მოხატული კერამიკის თავისებურებისა, რითაც იგი განსხვავდება სხვა რეგიონებში გავრცელებული მოხატული კერამიკისაგან.

ქართლში მოხატული კერამიკის გავრცელების შემდგომი საცვებური (V ეტაპი) მოდის ძვ. წ. II ს-ზე (IV ქრონოლოგიური ჯგუფი). ამ დროის მოხა-




ტული კერამიკა მხატვრული თვალსაზრისით ჩამოუვარდება „სამადლოს ტიპის“ მონათულ კერამიკას. ამ დროიდან დეკორში აღარ გვხვდება სამკვლევარული მონათულები. ტექნოლოგიის და მონათვის სტილის დეგრადაცია გრძელდება ძვ. წ. I ს-შიც (V ქრონოლოგიური ჯგუფი). „სამადლოს ტიპის“ კერამიკისაგან განსხვავებით, რომლებზეც მონათულობა კარგად გაპრიალეზულ და ანგობირებულ ფონზეა შესრულებული, V ქრონოლოგიური ჯგუფის მონათულობა (VI ეტაპი) ხაოიან ზედაპირზეა დატანილი. ძვ. წ. II-I სს. (V-VI ეტაპი) კერამიკა მონათულია უბრალო სარტყლებით, ზიგზაგებით და წერტილებით. ამგვარად მონათული ჰერკლის ცალკეული ეგზემპლიარები გვხვდება ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც.

1. Stronach D. Achaemenid Village 1 at Susa and the persian Migration to Fars. Iraq, vol. XXXVI, part 1-2, 1974. p. 234-248.
2. Dyson R. Early Cultures at Soldus, Azerbaidjan. The Hasanlu proccet, 1956-1960. from proceeding the IV-th International Congress of Iranial Art and Archacology. p. 2959-2965.
3. Haerink E. L'Iraq meridional, des Archemenides jusqu a l'Islam bilan des recherches. Arabie orientale, Mesopotamie et Iran meridional de l'Age du Fer au debut de la periode islamique. Ed. Recherche sur les Civilisations. Paris. 1984. p. 299-306.
4. Haerink E. Painted Pottery of the Arbabil style in Azerbaidjan (Iran). Iranica Antiqua. vol. XIII, 1978. p. 75-82.



1985 წლის ივლისში, საქართველოს ისტორიისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიცია (ლ. გიორგაძე ხელმძღვანელი, წევრები: მ. აბაშიძე, ა. თოფურია, გ. ოთხე-ზური და ამ სტრიქონების ავტორი) აგრძელებდა ლენინგორის რაიონის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაციას.<sup>1</sup> სოფ. თინიკა-ანის (ქარჩოხის სასოფლო საბჭო) თავზე, ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში საკურთხეველზე იდო მწვანედ დაეანგული ნივთი, რომლის მსგავსება სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>2</sup> ცნობილ, ყამჩათის შტანდარტთან ისეთი დიდი იყო, რომ თავიდანვე განისაზღვრა, როგორც ხევისთავის ინსტიტუტის, შტანდარტი. შტანდარტი ვადმოტანილ იქნა ლენინგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (საინვენტარო № 1498).

ოვალური ფორმის შტანდარტის საერთო სიმაღლე მ სმ, მაქსიმალური სიგანე (ყოჩის თითოჯერ ჩახვეულ რქების თავებთან) 8,5 სმ. მინიმალური სიგანე (მხედრების მხრებთან) 7,5 სმ. შტანდარტის ფუძე დაზიანებულია. შემორჩენილია 1,5 სმ სიმაღლისა და 1,5 სმ დიამეტრის გამჭოლნახერტიანი (სამაგრისათვის) ცენტრალური ღერძი, რაშიაც ხდებოდა ტარის ჩასმა. ამ გამჭოლნახერტიანი ღერძიდან ოთხივე მხარეს ვადის ღეროები, რომლებსაც პირობითად ვერძის ყელი ვუწოდებთ და რომელნიც ქმნიან შტანდარტის ფუძეს. მთელი შტანდარტი ჩამსულია ორი ტიპის ვერძის ოთხ თავში. პირველ ტიპს მივაკუთვნებთ: ვერძის ორი დაბალყელიანი თავი, ორმაგხვეულიანი რქებით, ხოლო მეორე ტიპს, ვერძის ორი მაღალყელიანი თავი, ერთხვეულიანი რქებით. ერთი, დაბალყელიანი ვერძის თავი, ცენტრალურ ღეროდან რალაც ძალას აუხებთქა 6 მმ ზევით. ამ ვერძის რქებიდან (პირველი ხვეულის დასაწყისი) ამოზრდილია მხედრის (ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებული პირის) ფიგურა. ცხენს ფეხები მუხლებში ოდნავ მოღუნული, წაგრძელებული კისერი, წინ წაწვდილი ყურები და ერთი რქა აქვს. ცხენზე პროფილში ზის მამაკაცი. მას ორივე ხელში უპყრია ოდნავ მოკიშული ალვირი და ახლადგაჩერებულის შთაბეჭდილებას ტოვებს (მოზრილი, დაძაბული ზურგის მოხაზულობა). მკვეთრად გამოირჩევა — ბრტყელი სახე, გრძელი ცხვირი და წოწოლა ქუდი (ჩაჩქანი?). ცხენის კუდი სქლადაა დაშვებული და მიმაგრებულია ვერძის რქის ბოლოს. ვერძის ძირს დაშვებული დრუნჩი და მეორეჯერ გადაგრეხილი რქები გახვრეტილია ყუნწებად. შტანდარტს შემორჩენილი აქვს ზარაკის ჩამოსაკიდი 11 ყუნწი. დაბალყელიანი ვერძისთავის დაბლა დაშვებული ერთი ყუნწი მოტეხილია. აქედან, ხუთ ყუნწში შემორჩენილია რკინის ქანგი (ორი რგოლი მთლიანად ამოვსებულია), ხოლო ექვს ყუნწში რკინის ქანგი არ იგრძნობა. ჩანს, ზარაკები დამაგრებული ყოფილა რკინის რგოლებით. მხედრის წინ და უკან აღმართულია სიბრტყეზე მდგომი მშვილდოსნები (პირადი დაცვა). წინ მდგომი მოისარი საბით ჰგავს უკვე აღწერილ მხედარს (ბრტყელი სახე, წოწოლა ქუდი (ჩაჩქანი?) მკვეთრად გამოკვეთილი გრძელი ცხვირი, წინ წამოწვდილი შუბლით). მშვილდოსანს მარჯვენა



შტანდარტი სოფ. თინკაანიდან.

Штандарт из сел. Тинкаани.

ხელში მშვილდი აქვს, ხოლო მარცხენაში — ისარი. გამოსახულება არ არის ზუსტი და უფრო სკემატურია. მხედრის უკან მდგომ მშვილდოსანს აქვს — ბრტყელი უმუბლო სახე, მკვეთრად გამოკვეთილი ცხვირი, წოწოლა ქუდი (ჩაჩქანი?). მოისარს მარცხენა ხელში მშვილდი უჭირავს, მარჯვენაში კი ისარი. ყველა მამაკაცი გამოსახულია უხელოდ. უწვერულვამოდ (ახალგაზრდობის ნიშანი). მხედრებიც (ორი) და მშვილდოსნებიც (ოთხი) ხასიათდებიან საერთო დამაბულობით და მზადყოფნით.

ბრინჯაოს შტანდარტი ჩამოსხმული და ნავედია: ბრინჯაოს ამ შტანდარტის ჩამოსხმა ნაწილ-ნაწილ მომხდარა. ცალ-ცალკე და სხვადასხვა ყალიბშია ჩამოსხმული დაბალყელიანი ვერძის თავი, ორმაგად გადაგრეხილი რქებით და რქებიდან ამოზრდილი მხედრით. ასევე, ცალკეა ჩამოსხმული მაღალყელიანი



ვერძის თავი ორი მშვილდოსნის ფიგურით. ამდენად, ცალ-ცალკე ჩამოსხმული დაბალყელიანი ვერძის ფიგურები, რქებიდან ამოზრდილები (ანაკერები“ კარგადაა დამუშავებული გარედან) ორი ჩამოსხმა. ასევე, ცალ-ცალკეა ჩამოსხმული მაღალყელიანი ვერძის ფიგურები ორ-ორი მშვილდოსნით, შტანდარტის გადაბმის ადგილები (ანაკერები“) და მთლიანად შტანდარტის შიგნითა მხარე ოსტატს არ დაუმუშავებია. გადაბმები გაცეთებულაი კედლით. ეს კარგად ჩანს შიგნითა მხარის თითქმის ყველა გადაბმის ადგილას. ხელში კედლი წესით, სქემატურად აქვს დამაგრებული მხრებთან. კედლი წესითაა დამაგრებული ოთხი ყუნწი მაღალყელიან ვერძებთან მდგომი მშვილდოსნების ფეხებთანაც. როგორც ჩანს, სპეციალურა საჭირით დაუმუშავებიათ მხედრის თავი და შტანდარტის გარეთა პირი მთლიანად.

როგორც აღვნიშნეთ, აღწერილი შტანდარტა შემთხვევით იქნა მოპოვებული ლენინგორის რაიონის სოფელ თინიკიანის ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში. შტანდარტი არქეოლოგიური ნივთია, იგი ეკლესიაში უნდა ნიეტანა მისი მრევლის რომელიმე წევრს. შტანდარტის მოპოვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ი. გაგოშიძესთან ერთად მეორედ შემოვიარეთ ის სოფლები (თინიკიანი, პავლიანი, კარელთკარი), რომელთა სალოცავსაც წარმოადგენდა სამების ეკლესია, მაგრამ ვერ დავადგინეთ ვინ და როდის მიიტანა შტანდარტი ეკლესიაში.

აღწერილის მსგავსი შტანდარტები დღევანდელი ლენინგორის რაიონის სოფლებში (საძეგური, ყანჩაეთი, იკოთი) სხვადასხვა დროს, ასევე შემთხვევით არის ნაპოვნი. მათ შორის, სოფ. საძეგურის შტანდარტი შესწავლილი აქვს ი. სპირნოვს,<sup>3</sup> ხოლო ყანჩაეთის—ი. გაგოშიძეს.<sup>2</sup> სოფელ იკოთში აღმოჩენილი შტანდარტის ფრაგმენტი, ამავე პერიოდის სხვა ნივთებთან (ლაგამი, ზარაკები) ერთად, ბავშვებს მიუტანიათ იკოთის საშუალო სკოლაში, ისტორიის მასწავლებელმა, ვანო ნიაურმა კი ლენინგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

შტანდარტის და მასთან ერთად ნაპოვნი მასალის ადგილის დაზუსტების შემდეგ, სოფ. იკოთში ი. გაგოშიძემ (ექსპედიციაში ვმუშაობდი მეც) აწარმოა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები, მაგრამ ორიოდე გამარცხული სამარხის გარდა მნიშვნელოვანი არაფერი აღმოჩენილა.

სოფელი იკოთი მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, რაიონის ცენტრიდან დაშორებულია სამიოდე კილომეტრით. სახელწოდება იკოთი ადრეული პერიოდის წერილობით ძეგლებში არ გვხვდება.

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, დღევანდელი სოფელი იკოთი, ჩვენი ვარაუდით, წარმოადგენდა ლოწობნის სახევისთავოს ცენტრს.

დაბალყელიანი ვერძის ორმაგად გადახვეული რქებიდან ამოზრდილია მხედარი, ცხენოსანი მარჯვენა პროფილშია (სოფ. თინიკიანში ნაპოვნი შტანდარტის მხედრები კი მარცხენა პროფილში), მარცხენა ხელით აღვირი უჭირავს, მარჯვენა ხელი ცხენის გავაზე უდევს. მხედარი სქემატურადაა წარმოდგენილი, სამკუთხა თავით და დაუმუშავებული პირისახით — სახის არც ერთ ნაკვთი არ ჩანს: ცხენს აქვს მაღლა აწეული ყურები და სწორი რქა. ცხენი



ხევისთავის ინსიგნია.

Хеви́ставская инсигни́я.



შტანდარტი სოფ. იკოთიდან.

Штандарт из сел. Икоти.

სწორად დგას, იგრძნობა უძრავობა. თინიკაანში ნაპოვნ შტანდარტის ცხენთან შედარებით მას კისერიც და ფეხებიც მოკლე აქვს. მხედრის საერთო სიმაღლე ვერძის რქებიდან — 3,7 სმ. სოფ., თინიკაანში ნაპოვნი მხედრის საერთო სიმაღლე ვერძის რქებიდან 5 სმ-ია. ვერძის დაბლა დაშვებული დრუნჩი ქმნის ყუნწს. ყუნწში შემორჩენილია რკინის ფანგი.

ბრინჯაოს შტანდარტის ეს ნაწილი ჩამოსხმულია. ოსტატს სპეციალური საჭრისი უხმარია მხედრის ყელის გაკეთებისას. მხედრის გარეთა მხარე გასუფთავებულია, ხოლო შიგნითა — დაუშვებელი. ანალოგიურ შტანდარტებს ი. გავოშიძე ათარიღებს ძვ. წ. IV საუკუნით.

\* მაშასადამე, დღევანდელი ლენინგორის რაიონის ტერიტორიაზე, ქსნის ხეობაში, არასრულ არქეოლოგიურ მონაპოვართა შედეგად აღრეანტიკურ ხანაში — ძვ. წ. IV ს. ოთხ ადგილას ლოკალიზდება სახევისთავოს ცენტრები: საძვეურის, ყანაეთის, იკოთის (ლოწობანი) და თინიკაანის სახით.

გარკვეულწილად მსგავსი შტანდარტი მოპოვებულია ყაზბეგში<sup>2</sup> რაც გვაძლევს იმის უფლებას ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული შტანდარტები დამზადებულია ადგილზე და ისინი ფართოდ არ გავრცელებულან.

ეს სახელისუფლო ნიშანი საინტერესო ჩანს ქსნის ხეობის წერილობითი წყაროს მონაცემებთან კავშირში. ამ მხრივ, აღსანიშნავია „ძეგლი ერისთავთა-ს“ ის ადგილი, რომელიც გვაუწყებს, რომ მეფე იუსტინიანემ „ყოველთა ცხრაზმის კველთა“ სურტილის შესაბამისად როსტომს „მოუბოძა შუდნი ესე კენნი, განსაგებულნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმის კვეისა. და შემოსა სამოსლითა მით, რომელ





ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელე თქვი, ხა-  
ქურველი და ცხენი თორნოსანი დროშა და შუბი“.<sup>5</sup>

დამოწმებული წყაროს მიხედვით, როსტომ ბიბლიური აღიპურვა მისი ძალაუფლების გამომსახველი ნიშნებით, უნდა ვიფიქროთ, რომ სოციალური მდგომარეობის შესაბამისი ნიშნები გააჩნდათ ხევისთავებსაც. ასეთი კი, ქსნის ხეობაში, გარკვეულ პერიოდში, უნდა ყოფილიყო შვიდი, რამდენადაც წყაროს მიხედვით, მეფემ როსტომს „მოუბოძა შვენი ესე კეენი“. ე. ი. VI ს. 70-იან წლებში ცხრაზმის საერისთავო აერთიანებდა შვიდ ხევს და თვითელი ხევის სათავეში იდგა ხევისთავი. აღნიშნული შვიდი ხევიდან მოცემულ პერიოდში „ძველი ერისთავთა ასახელებს სამ ხევს კერძოდ: ცხრაზმის, გრუსის, ისროლის“<sup>6</sup> ამას დაუმატათ არსებული მონაცემების შედეგად ჩვენთვის უკვე ცნობილი ხევები: ქარჩოხის, საძვეურის, იკოთის (ლოწობნის) და ყანჩაეთის. მაგრამ „ძველი ერისთავთას“ მიხედვით ვიცით, რომ ლოწობანი (იკოთი) ეკუთვნოდათ აბაზასძეებს XIV ს დასაწყისამდე და არ შედიოდა ცხრაზმის საერისთავოში.<sup>6</sup> ამავე ეპოქაში არც ყანჩაეთი შედიოდა ცხრაზმის საერისთავოში.<sup>7</sup> ამდენად, ცხრაზმის საერისთავოს ქვედა საზღვარი ადრეფეოდალური ხანაში უნდა ყოფილიყო დღევანდელ სოფელ კორინთამდე, როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ის არ მოიცავდა გრუს ხევსაც.

ქსნის ხეობის დაყოფა და გაერთიანება სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად აისახა ამ რეგიონის სამთავუნელისა<sup>7</sup> და წილენელის<sup>7</sup> საეპისკოპოსოებს შორის დანაწილებაში. წყაროში მითითებული არაა რომელ სამწყსოს ეკუთვნოდა გრუ: „ამას ხევით (სოფ. ალევი, ვ. ლ.) წილენელს ხელი არა აქვს, არც ანანურს ხევით მთაში“.<sup>7</sup> მდ. ქსნის მარჯვენა და მარცხენა მხარეს სათავიდან სოფ. კორინთამდის და შემდეგ მხოლოდ მარჯვენა სანაპირო ბოლომდის შედიოდა სამთავუნელის სამწყსოში. სოფ. ალევი (მდ. ალელურას ხეობა) და მდინარე ქსნის მარცხენა სანაპირო სოფელ კორინთის ჩათვლით შედიოდა წილენელის სამწყსოში.<sup>8</sup>

მართალია, ცხრაზმელებმა გრუ დალაშქრეს, დაიპყრეს, მაგრამ წყაროს მიხედვით მაინც არ ჩანს ამ პერიოდში გრუ, როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული — ხევი ცხრაზმის საერისთავოში. ამდენად, ცხრაზმის საერისთავოს შვიდი ხევიდან ჩვენთვის ცნობილია ოთხი: ცხრაზმის, ქარჩოხის, საძვეურის და ისროლის. გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ისროლის ხევის ფლობა გულისხმობს: ქოლოთქვიტიკრის ხევისა და ჭურთის ხევის<sup>9</sup> (ცხრაწყაროდან)<sup>9</sup> ფლობას. ასევე, ძნელი წარმოსადგენია ცხრაზმის ძლიერი საერისთავო ყამურის ხევის, მისი ადრეფეოდალური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და მძლავრი სამონასტრო კომპლექსების გარეშე.<sup>8</sup>

ამგვარად, VI ს. მეორე ნახევარში ცხრაზმის მცირე საერისთავოში შედიოდა: ცხრაზმის, ქარჩოხის, ყამურის, ისროლის, ქოლოთქვიტიკრის და საძვეურის მცირე ადმინისტრაციული ერთეულები — ხევები. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი მათგანის სათავეში იდგა ხევისთავი და თვითეულ მათგანს ჰქონდა სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი სახევისთავო ნიშნები: შტანდარტი,.... ჩვენი აზრით, სოფ. თინიკაანის თავზე, ადრეფეოდალური პერიოდის სამეხეს ეკლესიაში, ნაპოვნი ადრეანტიკური ხანის შტანდარტი მიეკუთ-

ღებოდა ქარჩოხის ხევის ხევისთავს. ქარჩოხის ხევი VI ს. მეორე ნახევარში შედიოდა ცხრაზმის საერისთავოში. ცხრაზმის საერისთავო ან პერიოდისა და აერთიანებდა შვიდ მცირე ადმინისტრაციულ ერთეულს — სახევისთავოს და მისი ქვედა საზღვარი ჩამოდიოდა დღევანდელ სოფ. კორინთამდე. ქსნის ხეობის მთისა და ბარის სასაზღვრო ზოლიც ვახუშტი ბატონიშვილის დაყოფის თანხმად ასევე სოფ. კორინთასთან გადის.<sup>9</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადრეანტიკური ხანის შტანდარტი, ხევისთავის ინსიგნია, შესაძლებელია ხმარებაში ყოფილიყო, როგორც წინაფეოდალურ, ასევე ფეოდალურ პერიოდში, სანამ არსებობდა მცირე ადმინისტრაციული ერთეულები — ხევები.

1. დღეისათვის ლენინგორის რაიონში აღრიცხულია 350-ზე მეტი ძეგლი.
2. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან 1964 წ.; გვ. 45-47.
3. Я. Н. Смирнов, Ахалгорский клад, Тб., 1934.
4. Гагошидзе Н. М., Картаи (Иберия) в V—I вв. до н. э. სადოქტორო დისერტაცია ბელსწყარის უფლებით გვ. 12. 1983 წ.
5. ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა შ. მესხიამ „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვეთი 30 თბ. 1954. გვ. 346; 345-346; 348.
6. ძეგლი ერისთავთა, გვ. 348. ლოწობნის ციხე აუგიათ X ს.; „დაჭდა ქორეპისკოპოსად ფაღლა, ძე კვირიკესი, ამან აღაგო ციხე ლოწობანთა“. ქართლის ცხოვრება ტ. I, 1955 წ. გვ. 265. ამავე საუკუნეში ლოწობნის მფლობელად ჩანს ივანე არშის ძე. ქართლის ცხოვრება I, 1955 წ. გვ. 268.
7. ქართული სამართლის ძეგლები ტ. III. 1970 წ. გვ. 198-206; 560-563; 563.
8. ჟ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1967 წ. ტ. III. გვ. 41, 28-30.
9. „ხოლო კვალად ჭურთისა, ცხრაწყაროსა და კოლოთჭყითორის დასავლით არს ისროლის ტევი“. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973 წ. გვ. 362, 360, 359.



**ცენტრალური კოლხეთის არქეოლოგიური რუკა (ძვ. წ. XV-VI სს.)  
(სამაროვნები, განაპი, მებალურგოული სახელოსნოები)**

მთელს კოლხეთში სადღეისოდ გამოვლენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ჩვიდმეტე სამაროვანი. აქედან რვა სამაროვანი ცენტრალურ კოლხეთშია მიკვლეული. ესენია პალურის საძვალე, მუხურჩა, ნიგვზიანი, ურეკის და ერგეტის ოთხი სამაროვანი<sup>1</sup>. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ამჟამად ახალ სამაროვანს სწავლობს ხობის რაიონის სოფ. დღვებაში.

ცენტრალურ კოლხეთში შემთხვევით აღმოჩენილია ცალკეული სამარხეული კომპლექსებიც. ასეთია, მაგალითად, კურხუში, სალხინოში, გურძემსა და სხვაგან მიკვლეული სამარხები<sup>2</sup>. 1982 წელს აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ფიჩორში გამოავლინა ადრერკინის ხანის კოლექტიური სამარხი<sup>3</sup>.

შემოხსენებელი სამაროვნებიდან სრულად მხოლოდ ნიგვზიანის სამაროვანია გამოქვეყნებული, დანარჩენი კი მოკლე სტატიებისა თუ საველე ანგარიშების სახითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა არ იქნებოდა მართებული მათ შესახებ არსებულ ცნობების გაშვება, რადგანაც ის, რაც ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში ხელახალ წარმოდგენას არ საჭიროებს. აქ წარმოვადგენთ იმ ახალ სამარხეულ კომპლექსებს, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში და, რომლებიც ჩვენს მიერ გეგეკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდშია მიკვლეული<sup>4</sup>.

1. გეგეკორის რაიონის სოფ. ნალეპსაოში არქეოლოგიური დაზვერვების დროს მოქალაქე ჭლარკავას საკარმიდამო ნაკვეთზე გეგეკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მიაკვლიეს ადრერკინის ხანის ოვალური ფორმის ორმოსამარხს.

ნალეპსაოს ორმოსამარხში აღმოჩენილია მოწითალოცეციანი, ოდნავ პირგადაშლილი, ბიკონუსურტანიანი, ბრტყელძირა დერგი (სმმ 361.ბ.31), I ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცული (გმმ, ინ. № 538) III სახეობის ტრაპეციისებური ფორმის თხიხი (გმმ, ინ. № 543), რკინის სატევრის ნატეხები (გმმ, ინ. № 5210), რკინის უნწიანი ისრისპირი (გმმ, ინ. № 547), თიხის კვირისტავეები (გმმ, ინ. № 545-46), ადამიანის ხელის ბრინჯაოს 18 მინიატურული გამოსახულება (გმმ, ინ. 543), ბრინჯაოს მანქვლები, მავთულები და ფირფიტები, 77 ცალი მძივი, მათ შორისაა თიხის, მინისა და სარდიონის მძივები (გმმ, ინ. 542) ერთი თიხის მძივი ბორბლისებური, მეორე კი — ცილინდრული ფორმისაა. სარდიონისა და მინის მძივები კი ძირითადად სფერული ან მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობისაა.

ნალეპსაოს ორმოსამარხში აღმოჩენილი ნივთების სიმრავლე და მიცვალებულების მრავალრიცხოვანი დამწვარ-დალეწილი ძვლები თვალნათლივ მიუთითებს კოლექტიური ორმოსამარხის არსებობაზე. სხვათადაც ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ერთ ინდივიდუალურ სამარხში 15-ზე მეტი სატევარი, 81 კვირისტავი, ხელის 18 გამოსახულება და ბრინჯაოს მრავალი ზოდი ჩაეტა-



ნებინათ, როგორც ჩანს, ნალექსაოს კოლექტიური ორმოსამარბი საოჯახო ან საგვარეულო სამარბს წარმოადგენს. მასში დასაფლავებული ყოფილან ბრძენული ჯორც კაცები, ისე ქალები, კაცებს შეიძლება მივაკუთვნოთ სამეურნეო და სამბრძოლო იარაღები, ქალებს კვირისტაეები და სამკაულები. პირობითად შეიძლება ითქვას ამა თუ იმ ნივთში სხვადასხვა პროტესის ადამიანი ამოგვეცნო: საბრძოლო იარაღები, ალბათ, მეომრებს ჰქონდათ ჩატანებული, სამეურნეო-მიწათმოქმედებს, საკულტო ქერუმებს და ა. შ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით სამარბის ზომები, გეგმეკორის მუზეუმის დირექტორმა გ. ელიავამ გადმოგვცა, რომ ორმოსში უწესრიგოდ ეყარა მიცვალელების ძლიერ დამწვარ-დაქუცმაცებული ძელები და არქეოლოგიური მასალა, რომლებიც ისე ყოფილა ერთმანეთში არეული, რომ შეუძლებელი გამხდარა ცალკეული კომპლექსების გამოყოფა. როგორც ჩანს, აქ ადრერონის ხანაში ევენტრალურ კოლხეთში საყოველთაოდ გავრცელებულ წესთან — კრემაციის გზით მიცვალელების მეორად დაკრძალვასთან გვაქვს საქმე.

2. 1969 წელს გეგმეკორის რაიონის სოფ. ლეკეში საკოლმეურნეო ნაკვეთზე პლანტაჟის შემდეგ თავი უჩენია ბრინჯაოს ნივთებს. აღნიშნული ადგილი მოინახულეს გეგმეკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა და ზედაპირულად აკრიფეს შემთხვევით აღმოჩენილი ადამიანის ძელები და არქეოლოგიური მასალა. მოპოვებულ იქნა ბრინჯაოს შემდეგი ნივთები: ერთი ვიწროპირიანი ჰელიანი სატეგარი (გმმ, ინ. № 92), სამი სატეგარისპირის ნატეხი (გმმ, ინ. № 91, 95), ორი სეგმენტისებური იარაღის ნატეხი (გმმ, ინ. № 89, 93), ბოლოგებგახსნილი პატარა რკოლი (გმმ, ინ. № 91), რალაც ნივთების ნატეხები (გმმ, № 94), პატარა ზომის ჯორჯლის ყური, რომელსაც ზედა ნაწილზე ზოომორფული სახე აქვს დაძვრწილი (გმმ, ინ. № 90), აქვეა კერამიკული ქურჯლის ნატეხი (გმმ, ინ. № 161).

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით სამარბის ტიპზე, რადგანაც აქ გათხრები არ ჩატარებულა. კრემაციის გზით მიცვალელების მეორედ დაკრძალვაზე მიუთითებს ძლიერ დამწვარ-დაქუცმაცებული ძელები, რომლებზეც აშკარად შეიმჩნევა ცეცხლის კვალი. ზოგიერთი ნივთი კი ცეცხლში ყოფნის გამო ისეა დეფორმირებული, რომ მისი ფორმის განსაზღვრაც კი ჭირს. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ბრინჯაოს სატეგარის პირის ფრაგმენტი ცეცხლში ყოფნის გამო თითქმის წიდადაა ქეული.

3. 1980 წელს გეგმეკორის რაიონის სოფ. ნახუნაოში, ადგილ ნაფაცტზე მოქალაქე სახლის ბაღავერს თხრიდა. სამეურნეობის დროს მას ადამიანის ძელის ფრაგმენტები და არქეოლოგიური მასალა ამოუყრია. მალე ეს ადგილი შეისწავლეს გეგმეკორის მუზეუმის თანამშრომლებმა. აღმოჩენის ადგილზე დადასტურდა ინდივიდუალური ორმოსამარბი, რომლის ძირზეც თიხატყეპნილი იყო სწორედ ამ თიხატყეპნილზე ეყარა ძლიერ დამწვარ-დაქუცმაცებული ძელები და არქეოლოგიური მასალა: I — სახეობის (დ. ქორიძის კლასიფიკაციით) ბრინჯაოს ათი ბრტყელი ცული (გმმ, ინ. № 534) და მოშავო კეციანი, პირგადაშლილი, ერთ მხარეს სამკეთხა ტუჩიანი ჯამი (გმმ, ინ. № 1499/1069). სამწუხაროდ, ნაფაცტუს აღნიშნულ ადგილზე გათხრების ჩატარება ვერ მოხერხდა, რადგანაც იქ სახლია დაშენებული.



4. 1965 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფ. ვედიდკარი-მახათის ადგილ ნაკვადურზე ტრანშეა გაყავდათ. აქ შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს ნატეხი, აღმოჩენის შესახებ აცნობეს გეგეჭკორის მუზეუმის დირექტორს ვამ ადგილზე ზედაპირულად მოიპოვა ბრინჯაოს სხვა ნივთებიც: 1 სახეობის ბრტყელი ცულის ზედა ნაწილი (გმმ, ინ. 8356.გ.11), დანის ნატეხი (გმმ, ინ. 8354 გ.131), ფოთლისებურპირიანი შუბისპირი (გმმ, ინ. 8353 გ.134)), სამი ორმანკველიანი ნამგალი (გმმ, ინ. 8353/1-3 გ.130), სეგმენტისებური იარაღების 17 ნატეხი (გმმ, ინ. 8357/1-17 გ. 132), ოცდასამი ბოლოებგახსნილი ბრტყელი სამაჭური (გმმ, ინ. № 488/1-13), წებრბელისებური ფიბულა (გმმ, ინ. 482), თორმეტი ხეისებურკალიანი ფიბულა (გმმ, ინ. № 477/1-12), ბოლოებგადასული მრგვალგანივკეთიანი ხატისუღელი (გმმ, ინ. № 482), ბოლოებგახსნილი პატარა რგოლი (გმმ, ინ. № 495), ორი სფერული მძივი (გმმ, ინ. № 8355 გ.132), ორმოცდაათთხმეტი სხვადასხვა წონისა და ზომის პატარა ზოდი (გმმ, ინ. 519/1-54).

ნაკვადურში სამარხის არსებობაზე მიუთითებს მიცვალებულის ძლიერ დამწვარ-დაქუცმაცებული ძვლები. ჩვენ ვერაფერს ვიტყვით სამარხის ტიპზე. რადგანაც აქ გათხრები არ ჩატარებულა.

5. გეგეჭკორის რაიონის სოფ. ვურძემში ხარებავეების ეზოში სახლის წინ ბავშვი ბებელას მარხავდა მიწაში. აღმოჩნდა ბრინჯაოს I ტიპის კოლხური ცული. შემდეგ ეს ადგილი შეისწავლა გ. ელიაევამ და 100-მდე ნივთი მოიპოვა (III სახეობის თოხები, სამი ბეჭედი და სხვ.). აქ უნდა არსებულებოთ კოლექტიური ორმოსამარხი, მიცვალებულები კი კრემაციის გზით (მეორადი დაკრძალვა) ყოფილან დასაფლავებულნი.

კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს განძები ძირითადად შემთხვევითაა აღმოჩენილი გარდა ორისა, როცა ასეთი განძები გამოვლენილ იქნა ოჩხოურის საწარმო-ნამოსახლარისა და გუდავის დიუნური ნამოსახლარის კულტურულ ფენაში.<sup>8</sup> სადღესოდ მათი რაოდენობა 120-ზე მეტ ერთეულს შეადგენს. აქედან 36 განძი ცენტრალურ კოლხეთშია მოკვლეული. მათგან სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია დიშში, გორაში, ოფშკეთში, მახარიაში, თაგლონში, ლესიჭინში, ოჯოლაში, ჯვარში, დღნორისაში (2 განძი), ფარცხანაყანევი (2 განძი), ზუვანში, კურზეში, ნოსირში, კუბურხინში, ხეთაში, ორულში, საბერიოსა და ვალში (2 განძი) გამოვლენილი განძები.<sup>9</sup> მხოლოდ ბრინჯაოს ზოდებისაგან შემდგარი განძები ნაპოვნია ვალში, ხეთაში, ნოსირში, ჯვარსა და წალენჯიხაში.<sup>8</sup>

დასავლეთ საქართველოს მუზეუმებში მივლინებების დროს (1980-1984 წწ.) ჩვენ შევისწავლეთ აქ დაცული სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ათი განძი, რომლებიც მანამდე სპეციალურ ლიტერატურაში უცნობი იყო. ისინი გამოვლენილ იქნა ლეკუმბარაში, ვალში ჩენხში, ეპაქუეში, ქეიბიაში, რანხაში, დიდი ჭყონში, ნოლაში, აბთსა და ოჩხოურში. ამათგან შეეძლოთ ლეკუმბარაში, ვალში, ოჩხოურსა და აბთში აღმოჩენილი განძების გამოქვეყნება.<sup>9</sup> მოკლედ წარმოვადგენთ გამოუქვეყნებელ განძებს:

1. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცულია კოლექცია № 102, 103. იგი ნაწილია 1945



წელს ჯემბერ თომას ძე ბოზუას მიერ სოფ. რეჩხში (გალის რაიონი), საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთზე მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური ცულების განძისა. მუზეუმში მხოლოდ ორი ცულია, რომლებიც განეკუთვნებიან I ტიპის ცულებს, მათ მახვილი ყუა და მაღალი თითქმის სიმეტრიული პირი აქვთ.

ზუგდიდის მუზეუმის არქეოლოგიის საინვენტარო წიგნში მითითებულია, რომ რეჩხის განძში შემავალი ცულების ნაწილი 1945 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში წაუღიათ. ჩვენ მოვიძიეთ ისინი აფხაზეთის სახ. მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა დაცული. როგორც ჩანს, რეჩხის განძის ნაწილი დაკარგულია.

2. ზუგდიდის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცულია 1945 წელს ბიჭტორ მიხას ძე ბოზუას მიერ სოფ. რაჩხაში (გეგეჯკორის რაიონი) აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი (არქ. 17-20. 5375). იგი შედგება წელში მოხრილი, მხრება დაშვებული, მრგვალსატარანახურეტიანი III სახეობის თოხისაგან, II სახეობის ბარისებური სეგმენტისებური იარაღის, რგოლისა და სფეროიდული ფორმის პატარა ზოდისაგან.

3. სოფ. ქებიზაში (გეგეჯკორის რაიონი) გეგეჯკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს მიუკვლევიან განძისათვის, რომლის შემადგენლობაში ყოფილა ერთი I ტიპის მახვილყუიანი და დაბალპირიანი ბრინჯაოს კოლხური (გმმ, 517 გ. 82) და თერთმეტი რკინის ცული. ათი რკინის ცული პატარა ზომისაა. მათ არასწორი ყუა, გრძელი მილისებური სატარე ნახურეტი, მოკლე ტანი და წაგრძელებული პირი აქვს (გმმ, 595 გ. 30). ზოლო ერთი II ქვეტიპის ბრინჯაოს კოლხურ ცულს ჰგავს. მას თითქმის მახვილი ყუა აქვს, ტანი შედარებით კარგადაა გამოყოფილი, პირი ტანს ქვემოთ ფართოვდება, იგი გორდა და ასიმეტრიულია.

4. გეგეჯკორის მუზეუმში ინახება სოფ. ეპაქუეში მუზეუმის თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს განძი (გმმ, 11201 გ. 104). მის შემადგენლობაშია I ქვეტიპის რვა ცულის ზედა ნაწილის ნატეხი და ერთი ამავე ქვეტიპის ცული, რომელსაც ზედა ნაწილი აკლია.

5. 1984 წელს სოსო გორჯიას გეგეჯკორის რაიონის სოფ. დიდი ჭყონში გვერენაიების უბანში შემთხვევით უპოვია ბრინჯაოს განძი, რომელიც ათამდე კოლხურ ცულს შეიცავდა. აქედან მხოლოდ ერთი ცული ჩაუბარებია გეგეჯკორის მუზეუმში, დანარჩენი კი, როგორც გ. ელიაევამ გადმოგვცა, სოფ. ხალხინოში წაუღია და კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციისათვის გადაუცა.

6. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია კოლექცია (№ 5419.17). იგი წარმოადგენს სოფ. ნოლაში (სამტრედიის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს განძს. მასში შედის ერთი I ქვეტიპის ცულის პირი, სამი II სახეობის ნიჩბისებური ფორმის სეგმენტისებური იარაღი და III სახეობის ტრაპეციისებური ფორმის თოხი.

ცენტრალური კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული სახელოსნოები არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი. სადღეისოდ სპეციალისტების მიერ რეგიონში გათხრილია მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მეტალურგიული სახელოსნო. იგი მდებარეობს წალენჯიხის რა-



იონის დაბა ჭვარის მახლობლად — მაქსანას გამოქვაბულში. მტკვრის მუქ-ტალღოვანი სახელოსნოები კი შესწავლილია ჩხოროწყუს მუზეუმის მკვლევარ ფელ ჭოღაში.<sup>8</sup>

გ. ელიავას 60-იან და 70-იან წლებში დაზვერვების დროს გვევსკორის რაიონის მთისწინა სოფლებში ლენჯებაში, კიწიაში, ნახუნაოში, კურხუში, დო-შაყეში, გაჭედელსა და სხვაგან მოკვლეული აქვს ბრინჯაოს და რკინის მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული მასალები. ავტორის თქმით, აღნიშნულ სოფლებში მელითონეობის ცენტრები უნდა არსებებოდა. ამ სიტყვების სისწორეში გვარწმუნებს აღნიშნული სოფლებიდან მოტანილი მე-ზეუში დატული მასალები. ასე, მაგალითად, სოფ. კიწიის მეტალურგიული სახელოსნოდან თუ ცენტრიდან წარმოდგენილია: სპილენძის ნალენთი (გმმ. 811 გ.361), ბრინჯაოს ზოდი (გმმ 9317 გ.140), ბრინჯაოს წიდა (გმმ, 10853 გ.359) ბრინჯაოს ნალენთები (გმმ, 9318 გ.130), რკინის გუნდები (გმმ, 9316 გ.140), რკინის მილისა და თიხის ყალიბის (ცულის?) ნატეხი (გმმ, 13962 გ.1112). როგორც ჩანს, ცენტრალური კოლხეთის მთისწინა ზოლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დატვირთული ყოფილა ბრინჯაოსა თუ რკინის მეტალურგიული წარმოების მრავალი დიდი თუ პატარა ცენტრით.

სტატიის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას დეტალურად განვიხილოთ აქ წარმოდგენილი სამარხული კომპლექსების, განძებისა და მეტალურგიული სახელოსნოების ქრონოლოგიის საკითხი, მაგრამ მათზე მოკლედ შეჩერება მაინც აუცილებელია.

ნაშრომში წარმოდგენილი ცენტრალური კოლხეთის ახალი სამარხული კომპლექსები შეგვიძლია ქრონოლოგიურად განვსაზღვროთ ზემოთ ნახსენება სამაროვნების დახმარებით. ნალესასოს სამარხი შეიძლება ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღდეს, რადგანაც მასში შედის მინის „მეჭეპიანი“ მძივი. ასეთი მძივები კი კოლხეთსა და ჩრდ. შავიზღვისპირეთში მიღებულ ვაჭრებს შეიძლება მხოლოდ ძვ. წ. VI ს-ში უფრო კი მის მეორე ნახევარში შემოეტანათ (ე. ალექსევეა). სამარხში შემავალი ბრინჯაოს კოლხური ცული, რკინის სატევრის ფრაგმენტები, რკინის ყუნწიანი ისრისპირი, კვირისტავეები, ბრინჯაოს მინიატურული ხელების გამოსახულებები, სარდიონის, მინისა და თიხის მძივები არ ეწინააღმდეგება ასეთ თარიღს. ძვ. წ. VI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს გურძემის სამარხიც, რომელშიაც ბრინჯაოს ნივთების გვერდით, ბრინჯაოს ბეჭდებიცაა აღმოჩენილი. შედარებით ადრეული ჩანს ლეკვს სამარხი, რადგანაც მასში აღმოჩენილია ბრინჯაოს სიტულის სახელური. ზოომორფურყურთან სიტულების არსებობა კი კოლხეთში ძირითადად ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებითაა განსაზღვრული. სამარხში შემავალი სეგმენტისებური იარაღები, ბრინჯაოს რგოლი და ვიწროპირიანი სატევარი თავისუფლად შეიძლება აღნიშნული ხანით დათარიღდეს. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით უნდა განისაზღვროს ედიდკარი-მახათის (ნაკადურის) სამარხის თარიღიც; ლეკვს სამარხში შემავალი წურბელი-სებური და ხეისებურკალიანი ფიბულები ახლოგიურია მუხურჩის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე აღმოჩენილი ფიბულებისა (ე. გოგაძე), ხოლო ბრინჯაოს ხატისუღლები და პატარა ბოლოებგახსნილი რგოლები აბლოს დგას პალურის საძვალის, ნივზიანისა და ერგეტის სამაროვნების ხატისუღლებთან და ფიბულებთან. რაც შეეხება სამარხში შემავალ ბრტყელ ცულს,



ფოთლისებურპირიან ისრისპირს, ორმანქვლიან ნამგლებს, „სეგმენტის“ ბრინჯაოს მძივს, სამაჯურსა და ზოდს, ისინი ვედიდკარი-მახათის (ნაკადურის) სამარხს ძვ. წ. VIII-VII სს. ათარილებენ.

შედარებია ძნელი ნახუნაოს სამარხის ასაკის განსაზღვრა, რადგანაც მასში მხოლოდ ბრინჯაოს ბრტყელი ცულები და ერთი თიხის ჯამი შედის. ვფიქრობთ, რომ ნახუნაოს სამარხიც ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრეული არ უნდა იყოს, რადგანაც მასში შემავალი ბრტყელი ცულები არ ემსგავსება კოლხეთში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში გავრცელებულ ბრტყელ ცულებს. რომლის ზედა ნაწილი ნაკაწრებითაა შემკული. მათი ასეთი შემკობა მოგვიანო მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც სეგმენტისებური იარაღისა, ნაკაწრებით თუ ქლებით შემკული „სეგმენტი“ ცნობილია ნიგეზიანის სამაროვნიდან (თ. მიქელაძე).

ზემოთ წარმოდგენილ განმეპში ყველაზე ადრეული ნოლასა და ეჭაჭუეს განძი ჩანს. ორივე განძში შედის I ქვეტიპის ცულები, რომლებიც არსებობას ძვ. წ. XI საუკუნეში ამთავრებენ (გ. ქორიძე). ამის გამო ამ განძების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. XI საუკუნეს არ უნდა გადამოცდეს. აღნიშნული განძების I ქვეტიპის ცულები საკმაოდ განვითარებული ფორმაა და მნიშვნელოვნად განსხვავდებიან შედარებით ადრეული ძვ. წ. XV-XIV საუკუნეების ასეთი ცულებისაგან. ეჭაჭუესა და ნოლას განძის ცულები ახლოს დგას ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით დათარიღებული ოფშკიეთის, ზემო-სიმონეთის თბორის და სხვ. ცულებთან. (დ. ქორიძე). ყოველივე ზემოთქმულის გამო ეჭაჭუესა და ნოლას განძი ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. დიდი ჰყონის განძი ჩვენთვის მხოლოდ ერთი ცულითაა ცნობილი. ესაა I ქვეტიპის ცულების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმა და შეიძლება ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებისათვის განგვეკუთვნებინა. მთლიანად განძის დათარიღება კი არ შეგვიძლია, რადგანაც სხვა ცულები ჩვენთვის უცნობია.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებს განეკუთვნება რაჩხას განძი, რომელიც ბრინჯაოს ისეთ რგოლს შეიცავს, რომლის მსგავსი ცენტრალური კოლხეთის ძვ. წ. VII-VI საუკუნეების სამაროვნებში გვხვდება. ამავე დროს განეკუთვნება ქვიბის განძი, რომელშიაც შედის ერთი I ტიპის დაბალპირიანი ბრინჯაოს და თერთმეტი რკინის ცული. განძის რკინის 10 ცული კოლხეთში ძვ. წ. VI საუკუნეში გავრცელებულ მოკლეტანიან და მილისებურყუიანი რკინის ცულებისაკენ ამჟღავნებენ მიდრეკილებას, ხოლო განძის ერთი რკინის ცული სხვა არაფერია თუ არა II ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცულის რკინაში გამოკრება. რკინის კოლხური ცულები კი ცენტრალური კოლხეთის ძვ. წ. VII-VI საუკუნეების სამაროვნებში მრავლადაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ კურხუსა და ბუჯანის განძები, რომლებიც ბრინჯაოს ნივთებთან ერთად რკინის ნივთებსაც შეიცავენ, დათარიღებულია სწორედ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით (დ. ქორიძე, ნ ხოშტარია). შედარებით ადრეული ჩანს რეჩხის განძი, რომელიც ორი ბრინჯაოს I ტიპის ცულითაა ცნობილი. რაკი ამ განძში არ გვხვდება არც ადრეული პერიოდის — I და II ქვეტიპის ცულები და არც ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალები (სამკაული, რკინის ნივთები), იგი შეიძლება ძვ. წ. X-IX საუკუნეებით დაგვეთარიღებინა. ამ დროს ხომ უკვე სრუ-





ლიად ჩამოყალიბებული სახით არსებობს I ტიპის ბრინჯაოს ცულუბერ (დ. ჭო-  
რბიძე).

წინასწარულად დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით უნდა გახისაზ-  
ღვროს მეტალურგიული სახელოსნოების მასალები ლენჭებადან, კიწიიდან,  
ნახუნაოდან, კურხუდან, დოშაყედან და გაქედილიდან. ამ სახელოსნოებში  
რკინის წიდებთან ბრინჯაოს ზოდების აღმოჩენა არ უნდა მიუთითებდეს ძეგ-  
ლების ადრეულ თარიღზე. ამას ედასტურებს ის, რომ ცენტრალური კოლხეთის  
ძვ. წ. VIII-VI საუკუნეების ზოგიერთ ძეგლზე ბრინჯაოსა და რკინის მეტა-  
ლურგიული წარმოება ერთად გვხვდება. მაგ., ოჩხომურის საწარმო-ნამოსახ-  
ლარზე ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული სახელოსნოები მთელი ძვ. წ.  
VIII-VI საუკუნეების მანძილზე თანაარსებობენ. ამას გარდა ცენტრალური  
კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნებშიც ხშირად ერთად იხეხს თავს რკი-  
ნისა და ბრინჯაოს იარაღები და ზოდები. რა თქმა უნდა, მეტალურგიული სახე-  
ლოსნოების თარიღების დაზუსტება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მათი ფუნ-  
დამენტალური ვათხრების შემდეგ.

1. ნ. ოქრბიძე, მ. შარაძიძე, პალერის საქვე — შსა, 1974 წ. ტ. VI, გვ. 26-123;  
Гогодзе Э. М. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской  
культуры. — ВГМГ, 1984, т. XXXVII—B; გ. ელიავა პეტრეს ნაკარეს არქეოლოგიური მასალა. —  
თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ. თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრერკინის ხანის სამა-  
როვნები — თბ. „მეცნიერება“, 1985, გვ. 70-93, ტბ. XXI-XVII.

2. გ. ელიავა, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (გზამკვლევი). — თბილისი:  
„საბჭოთა საქართველო“, 1968, გვ. 22-28.

3. Барамидзе М. В. Исследования в с. Пичори. — «АО — 1982», М., «Наука»,  
1984, с. 421.

4. გეგეჭკორის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში მუშაობაში ზელი შეგვიწყო მუზეუმის დირ-  
ექტორმა ისტ. მეცნ. კანდიდატმა გ. ელიავამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

5. Шамба Г. Культура племен Абхазии. В первом тысячелетии до н. э. — Авто-  
реф. док. дис. Ереван; ИАЭ АССР, 1987, с. 7.

6. ფ. აფაქიძე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან. —  
წველის მეგობარი, № 70, 1985, გვ. 60-68, ტბ. 1.

7. Нессен А. А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. —  
ИГАНМК, 1935, вып. 120, с. 124—126; Хонтария Н. В. Археологические исследования в  
Вани и Ванском районе в 1952 г. — МАГК, 1959, т. II.

8. ჭ. ჭორბიძე კოლხური ელტერის ისტორიისათვის, თბ. „მეცნიერება“, 1965; გ. ნი-  
ორაძე, არქეოლოგიური ვათხრები კოლხიდაში. — ენოქის მოამბე, 1941, ტ. X, გვ. 232.

9. ჯ. აფაქიძე, ვალის განძი — ძველის მეგობარი, 1984, № 66, გვ. 42-47; მისივე, ლუკუმ-  
ხარას განძი — სპამ, 117, № 3, 1985, გვ. 653-656; მისივე აჭუთის განძი. — ახალგაზრდა  
მეცნ. ისტორიკოსთა V რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. — თსუ გამომცემლობა,  
1986, გვ. 98.100.

10. გ. გრიგოლია, მ. შარაძიძე, ენგურბესის მშენებლობასთან დაკავშირებული საძიებო-  
არქეოლოგიურ ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის შედეგები. — XIII სამეცნიერო სესია, თბი-  
ლისი: „მეცნიერება“, 1964, გვ. 18; დ. ხახუტაიშვილი, მასალები რკინის წარმოების ადრეული  
საფეხურის ისტორიისათვის ჩრდილო კოლხეთში — სდ.სს, 1980; ტ. IX, გვ. 3-38.


**მინის სანელსაცხებლავი ჯავახეთიდან**

ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა არსენ კარაპეტიაშვილმა ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს ე. ჯანდიერს გადასცა მინის ორი ჭურჭელი. როგორც გაირკვა, ჭურჭელი ჯავახეთში, სოფ. თოთხაშში, სახლის საძირკვლის ამოღების დროს უპოვიათ. ვადმოცემით ისინი აღმოჩენილია გამარცხულ დარღვეულ სამარხში (ქვის სამარხი?) რომლის სხვა, თანმხლებ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ორივე ჭურჭელი ფიგურული სანელსაცხებლეა და ფორმაშია გამოხედილი. ერთი მათგანი ღია ცისფერი, გამჭვირვალე მიწის ამფორისკია, შედარებით სქელკედლიანი, გადაშლილი, უსწორო ოვალის ფორმის პირით, მაღალი ყელითა და კვერცხისებრი ტანით, რომელიც მრგვალ, დაბალქუსლიან ძირში გადადის.

ორყურა: მოყავისფრო ყურების ერთი ბოლო მხრებზეა მიმაგრებული, მეორე კი ყელზე, პირის იმ ნაწილებთან, სადაც ოვალი ვიწროვდება და მდლდება.

სანელსაცხებლეს ტანი დაყოფილია სამ ფრიზად: ზედა და ქვედა ფრიზები დაღარულია, ცენტრალური ფრიზი კი შემკულია ერთმანეთზე გადახმული რელიეფური ზეიბით. დაღარული ფრიზები (სიმაღლე 1,6 სმ-1,3 სმ) ყელისა და ძირისაგან გამოყოფილია თითო რელიეფური წრით, ცენტრალური ფრიზისაგან (სიმაღლე 1,1 სმ) კი — ორ-ორი რელიეფური წრით. დაბეჭდილი ქვედა ფრიზზე უფრო ხშირია, ვიდრე ზედაზე, რელიეფი საკმაოდ მკვეთრია.

ჭურჭელს გვერდებზე ვერტიკალურად მოუყვება რელიეფური ზოლები, რომლებიც შეუმჩნევლად გადადის ძირზეც და მას ორ ნაწილად ჰყოფს. ზოლები მიუთითებს იმაზე, რომ სანელსაცხებლე ორი ნაწილისაგან შემდგარ ფორმაშია გამოხედილი.

ყელი და პირი დეფორმირებულია. მიუხედავად ამისა, სანელსაცხებლე საკმაოდ მოხდენილია, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ მსგავს ჭურჭელზე. ყურები ირიზებულია; ტანსა და პირზე აქა-იქ შეიმჩნევა ირიზაციის კვალი. ზომები: სიმაღლე 7,3 სმ; პირის ოვალის სიგრძე — 2,8 სმ; ძირის დიამეტრი — 1,8 სმ. № აქ 76-2424.

მეორე სანელსაცხებლე ღია მწვანე გამჭვირვალე მინის მრავალწახნაგა ამფორისკია, გადაშლილი, უსწოროდ ჩაკეცილი მომრგვალებული პირით, მაღალი ცილინდრული ყელით თექვსმეტწახნაგა გვერდებდაბრტყელებული ტანით, რომელიც უსწორო სწორკუთხა ქუსლიანი ძირით ბოლოვდება.

ორყურა: მუქი მომწვანო მინის ყურების ერთი ბოლო ყელზეა მიმაგრებული, მეორე კი — მხრებთან ორნამენტირებულ წახნაგებზე.

ტანის თითოეული გვერდითი წახნაგი მოზრდილია და წარმოადგენს ბრტყელ რეკუთხედს რომელშიც ორ-ორი რელიეფური წრეა ჩასმული (ცალი წახნაგის წრეების ქვედა ნაწილის რელიეფი დარღვეულია და ამობურცული — ვეფქრობთ, ფორმა ნაკლიანი უნდა ყოფილიყო). დანარჩენი წახნაგები სადაა.



მინის ფიგურული სანელსაცხებლე ჭავ-  
ხეთიდან. სოფ. თოთხამი.



მინის პრავალწახნავა ამფორისკი ჭავხე-  
თიდან. სოფ. თოთხამი.

Стекланные фигурные сосуды из Джавахети. Сел. Тотхами.

ძირი დეფორმირებულია; ნაწილობრივ დეფორმირებულია ტანიც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსად ზემოთ აღწერილი ჭურჭლისა, ესეც ორი ნაწილისაგან შემდგარ ფორმაშია გამობერილი. ჭურჭლის გამობერვისას იმის გამო, რომ ფორმის ნაწილები ერთმანეთზე კარგად არ იყო მიმაგრებული, ერთმა ნაწილმა დაიწია, რამაც ჭურჭლის დეფორმაცია გამოიწვია.

რელიეფი, თუ არ ჩავთვლით გვერდით ვერტიკალურ წიბურებს, რომლებიც გამობერვისას ფორმის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირების გამო მიიღება, ნაკლებად მკვეთრია.

ტანზე აქა-იქ შეიმჩნევა ირიზაციის კვალი, ყურები კი ძლიერაა ირიზებული. ზომები: სიმაღლე — 6,7 სმ; პირის დიამეტრი 2,6 სმ; ტანის სიგანე — 4,4 სმ. № აქ. 76-2423\*.

როგორც დავინახეთ უნაკლო არც ერთი ჭურჭელი არ არის, მათზე კარგად შეიმჩნევა ხელისნის დაუდევრობის კვალი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე საკმაოდ კარგი ცალია და ყურადღებას იქცევს დახვეწილი ფორმებით.

როგორც ვთქვით, ისე მეორე ტიპის სანელსაცხებლეები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მთელ რომაულ სამყაროში. მათი რიცხვი თანდათან იზრდება ჩვენშიც. დღეისათვის საქართველოში სამფრიზიანი ხეობით შემკული სულ 6 სანელსაცხებლეა ნაპოვნი: ჭავხეთის გარდა, 3 ცალი აღმოჩენილია ურბნისში — გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბანი), კავთისხე-

ში — საყარაულო სერის სამაროვანსა და მცხეთაში — სამთავროს სამარო-  
ვანზე.



ხეივებით შემავალი სანელსაცხებლები კარგად არის შესწავლილნი. გორც უცხოელი, ისე ჩვენი სპეციალისტების მიერ: მათ სირიულ-სილიონურ პროდუქციად მიიჩნევენ და ძირითადად I ს მეორე ნახევრით ათარიღებენ. გამოჩენის შეადგენს მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ცალი, რომელიც III-IV სს სამარხშია აღმოჩენილი. რითი უნდა აიხსნას მისი არსებობა ასეთ გვიანდელ სამარხში? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი შემთხვევით არის მოხვედრილი? მითუმეტეს, რომ ამ ბოლო ხანებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვაქვს შემთხვევები, როდესაც მინის ჭურჭლის ადრეული ფორმა ვგვხვდება შედარებით მოგვიანო სამარხში, მიუხედავად იმისა, რომ მინა ადვილად მსხვრევადი ნივთიერებაა და მისი დიდხანს არსებობა ძნელად წარმოსადგენია.

იქნებ უფრო ახლოს ვიყოთ ჭეშმარიტებასთან, თუ ვიფიქრებთ, რომ სამთავროს ცალი გამობერილია უფრო გვიან, ადრეული ფორმისა და ორნამენტის მიხედვით, რაზედაც უნდა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ მიუხედავად მსგავსებისა, მისი ორნამენტის შესრულების მანერა საკმაოდ განსხვავებულია: ღარები შედარებით ვიწროა, უფრო სწორი და ხშირი, რელიეფი უფრო მკვეთრი.

ცხადია, ერთი ჭურჭლის შესწავლის საფუძველზე ჭეშმარიტების დადგენა ძნელია.

მრავალწახნავა ამფორისკების რიცხვიც ჩვენში უკვე ხუთამდე ვაიზარდა: ზემოთ აღწერილი ცალის გარდა ორი, აღმოჩენილია მცხეთაში — სამთავროსა და მოგვთაყარის სამაროვანებზე. ორი კი — ურბნისში<sup>2</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მინის ჭურჭლის ერთ ტიპს განეკუთვნებიან და ძლიერ ემსგავსებიან ერთმანეთს, მათ შორის განსხვავებაც ნათლად ჩანს, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა რელიეფურ წრეებსა, წახნაგების რაოდენობასა, ფერსა და ზომაში. რაც შეეხება მოგვთაყარის ცალს, იგი განსხვავდება არა მარტო ჩვენში აღმოჩენილი მსგავსი სანელსაცხებლებისაგან, არამედ ყველა ჩვენთვის ცნობილი მრავალწახნავა ამფორისკისაგან სხვა მხრივაც: როგორც ცნობილია, ისინი გამობერილია იისფერი, მოყვითალო და იშვიათად, მომწვანო, გამჭვირვალე მინისაგან და მათი ყურების ერთი ბოლო, როგორც წესი, მიმაგრებულია ყელზე. მეორე კი — რელიეფური წრეებით შემავალ წახნაგებზე. მოგვთაყარის ცალი ლურჯი, გამჭვირვალე მინისაა, თეთრი ყურებით, რომელთა ერთი ბოლო, ჩვეულებრივ, ყელზეა მიმაგრებული, მეორე კი — სადა წახნაგებზე. ეს განსხვავება საკმაოდ თვალშისაცემია და შეიძლება რომელიმე საწარმოზედაც მიუთითებდეს, ეგებ ადგილობრივი ნაწარმიც კი იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ძნელია გარკვეული დასკვნის გამოტანა, როცა ხელთ მხოლოდ ერთი ჭურჭელი გვაქვს.

მრავალწახნავა სანელსაცხებლებიც საკმაოდ კარგადაა შესწავლილი: ისინიც სირიულ-სილიონურ პროდუქციად არის მიჩნეული და უმეტესად, I ს. მეორე ნახევრით თარიღდება<sup>3</sup>.

ჯავახეთში აღმოჩენილი ფიგურული სანელსაცხებლები, როგორც ზემოთ



ითქვა, სამარბეულ ინვენტარს უნდა წარმოადგენდნენ, რაზედაც ვერც კარგად თვებს, რომ ორივე მთელია და კარგად დაცული (ძალიან იშვიათად). მიუხედავად იმისა, რომ თანმზღები ინვენტარი არ გააჩნათ, მათი დათარიღება მსგავსი სანელსაცებლებების მიხედვით საკმაოდ დამაჯერებლად შეიძლება 1 ს მეორე ნახევრით, ხოლო რაც შეეხება წარმომავლობას, როგორც ყველა მსგავსი ჭურჭელი, სირიულ-სიდიონურ საწარმოთა პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ.

ცნობილია, რომ I საუკუნეში ფორმაში გამობერილი მინის ჭურჭლის მთავარი მიმწოდებელი მსოფლიო ბაზარზე იყო სირია, საიდანაც ეს პროდუქცია ჩვენშიც შემოდიოდა. ჩანს, ამ დროს უკვე მოქმედებდა ანტიკური ხანის ცნობილი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომელიც ამიერკავკასიაზე გადიოდა და მას სამხრეთის ქვეყნებთან აკავშირებდა. ეს ის გზაა, რომელმაც სამხრეთიდან მოხვეალი წმინდა ნინო ჭავჭავთის მტკვრის გავლით ურბნისში მოიყვანა\*.

რადგანაც ჭავჭავთი სწორედ ხსენებულ სავაჭრო მაგისტრალის ტრასაზე მდებარეობდა, ანტიკური ხანის მასალების აქ აღმოჩენა მოსალოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, აქამდე ისინი არ ჩანდა, თუ არ ჩავთვლით ს. ბარნაველის მიერ გამოქვეყნებულ საბუკდავს სოფ. პრტენიდან, რომელიც ძვ. წ. I ს. თარიღდება\*.

დღეს, როცა ჭავჭავთის ახალქალაქში განახლდა არქეოლოგიური გათხრები იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ექსპედიცია არქეოლოგიურად შეისწავლის იმ მიდამოებს, სადაც ზემოთ აღნიშნული მინის ჭურჭელი აღმოჩნდა და საინტერესო მასალებსაც მოიძიებს.

\* მინის ჭურჭელი შესწავლად და გამოსაქვეყნებლად გადმოგვცა ე. ჯანდიერმა.  
 \*\* ჭურჭლების აღწერილობებთან ნომრები მითითებულია სველე დავითის მიხედვით.  
 1. იბ. მ. საგინაშვილი. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970 გვ. 10—12; მისივე, შემთხვევით აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ურბნისიდან. საქ. სახ. მეზუუმის მოამბე, XXXVI—B, თბ., 1962, გვ. 154-156. ტაბ. XI-1, მ. საგინაშვილი, რელიეფურორნამენტაინი მინის ჭურჭელი ურბნისის სამაროვიდან. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., 1985, გვ. 69-73; ტაბ. X, 1-3.  
 სამარბეული მასალა დაცულია მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე; იხ. სველე წიგნი № 114 (9) სამარბი № 460, იხვ. №№ 2030-2043.  
 2. Dusenbery, E. R. Ancient Glass from the Cemeteries of Samothrace. IGS, IX, 1967. p. 40. № 13, fig. 14.  
 3. Лордкиванидзе О. Д. Ремесленное производство и торговля в Мичета в I—III вв. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 145, სურ. 7-5, 6. უგრელოძე, მინა ძველ საქართველოში. თბ., 1961, ტაბ. 7.  
 4. Glaser der Antike Sammlung Oppenländer. Hamburg 1974, p. 154.  
 5. საგინაშვილი, რელიეფურორნამენტაინი მინის ჭურჭელი... გვ. 81-82.  
 6. მოქცევაი ქართლისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, თბ., 1964, გვ. 117, ლ. კილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 146.  
 7. ს. ბარნაველი, ორი გემისათვის (გემები გოქჩიდან და პრეტენიდან). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი VI, № 7, 1945, გვ. 579.



### ეკის ნათლისმცემლის მონასტრის წარწერები

ეკი მთისწინეთს შეფენილი სოფელია სამეგრელოში, მდინარე ციის ხეობაში. აქ არის ორი ეკლესია — „იმანიერი“ და იოანე ნათლისმცემლის ტაძარი. უკანასკნელი, ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით მის სამრეკლოსთან და გალავანთან ერთად შესწავლილია აწვანსვენებული ხელოვნებათმცოდნის ილია ადოიას მიერ<sup>1</sup>, რაც შეეხება სამრეკლოზე შემორჩენილ ორ წარწერას, მათგან მხოლოდ ქვაზე ნაკვეთია დღეისათვის ცნობილი, თუკი შეიძლება ესოდენ მცდარად წაკითხულ წარწერაზე „ცნობილი“ ვთქვათ. ზოლო იმავე სამრეკლოს სვეტზე მოთავსებული მეორე წარწერა, წითელი საღებავითაა შესრულებული და ძალიან დაზიანებულია, თუმცა მისი აღდგენა ნაწილობრივ მაინც ხდება შესაძლებელი.

ეკის სამრეკლოს ქვაზეკვეთილი წარწერა პირველად ხუროთმოძღვარ ნოროვისეული გადმონახაზის მიხედვით მარი ბროსემ (1802-1881 წწ.) შემდეგნაირად წაკითხა: „ქ. ალაშენა ესე სამრეკლო ბრძანებითა თამარ მეფისა გიორგი მამამ... მეოხებისათვის წმინდაო იონე თავისი თავისა, ამინ, დიდო მეფეო თამარ, მეუღლე გიორგისა, შალვა... შეიწყალე ღმერთო“.<sup>2</sup>

სწორედ ამგვარი გადმონახაზისა და წაკითხვის შედეგად მ. ბროსემ ეს წარწერა თამარ მეფის ზეობის ხანით (1184-1207 წწ.) დაათარიღა. ბროსესული წაკითხვის ქართულმა, სამართლიანი ეჭვი აღუძრა წარწერის თარიღისადმი მკვლევარ ვ. სილოგავას<sup>3</sup> და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ არ შეიტანა ის ქართული ლამიდარული წარწერების კორპუსის II ტომში (დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I), რომელიც მის მიერაა შედგენილი და განოსაყვამად მომზადებული<sup>4</sup>.

ეკის სამრეკლოს ხსენებული წარწერა, რომელიც ვ. სილოგავას დაკარგული ეგონა<sup>5</sup> დღესაც ადგილზეა. მე გადმოვიხაზე ის გამაჭვირვალე ქალაღზე (იხ. გადმონახაზი) და აღმოჩნდა, რომ ნოროვისეული გადმონახაზი, რომლის მიხედვითაც ეკის სამრეკლოს წარწერა გამოაჭვეუნა ბროსემ, სავსეა უხეში შეცდომებით, რამაც თავის მხრივ მ. ბროსესაც უხეში შეცდომები დააშვებინა.

ეს წარწერა მოთავსებულია ეკის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სამრეკლოს დღემდე შემორჩენილი სამი თალიდან შუას კედელზე. ის შესრულებულია არც თუ ისე ღრმა კვეთით. წარწერის ცხრა სტრიქონიდან ზედა ოთხი დაზიანებულია, პირველ სტრიქონს ბოლოში, როგორც ჩანს აკლია სამი ასო, მეორეს ორი ან სამი, მესამეს არცერთი ან სამი, ზოლო მეოთხეს — ალბათ ხუთი. განკვეთილობის ნიშანი — ერთი წერტილი, ქარაგმის ნიშანი — სწორი განივი ხაზი. ასოთა სიმაღლე ძირითადად 2—2,5 სმ, სიღიბით გამოირჩევა მხოლოდ ასოები: გ. და თ. ისიც იქ, სადაც საუკეთარო სახელი „გიორგი“ არის დაქარაგმებული. ამ ასოთა სიმაღლე 3,5—5 სმ, მთლიანად კი წარწერის სიმაღლე 36, ხოლო სიგანე 32 სმ გახლავთ.

ეს წარწერა, რომლის ჩემეულ გადმონახაზსაც აქვე ვთავაზობთ, ქარაგ-






ეკის სამრეკლოს წარწერის ასოები ა, დ, მ, ნ და შ ზუსტად ისეთივეა, როგორც თაველიძეთა წარწერისა (თირის მონასტერი), რომელიც XI ს. დასრულებულია. ამასთან ასოები ა, გ, დ, თ, მ, რ. და ძ თითქმის ზუსტ ანალოგიას პოულობენ წულურულაშენის ტაძრის ასოებში, წარწერისა, რომელიც ლაშა-გიორგის (1207-1222) ზეობის ხანით თარიღდება.

ეკის წარწერის ც-საც ტყუბისცალი XIV-XV საუკუნეთა მიჯნის წარწერაში ეძებნება (ბევროზის წარწერა თირის მონასტრისა). ამრიგად, ეკის სამრეკლოს წარწერა XIII-XIV სს. ჩანს. ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ძეგლის ზუროთმოძღვრული თარიღი, რომელიც ი. ადამიას ეკუთვნის. მისი აზრით ეკის სამრეკლო XIII-XIV სს. უნდა განეკუთვნებოდეს.

მკვლევარმა ილია ანთელავამ, ეკის წარწერის ბროსესეული წაკითხვა თავისი იმ მოსაზრების შესამაგრებლად დიდიწემა, რომლის თანახმადაც თამარ მეფის ქმარი იური ანდრიას ძე, ქართული მატინანის გიორგი რუსი „აფხაზთა სამეფოს“ მმართველი უნდა ყოფილიყო ერისთავთ-ერისთავის უფლებით“. რაც ჩვენი აზრით სავსებით სწორი უნდა იყოს. მაგრამ ეკის წარწერის ბროსესეული წაკითხვა როგორც ვნახეთ, სწორი არაა და ამ მოსაზრების დამამტკიცებელ საბუთად ცხადია, ვერ გამოდგება.

ეკის ნათლისმცემლის ტაძრის კედელში ჩატანებული ყოფილა კიდევ ერთი სააღმშენებლო წარწერა, რომელიც ამ მონასტრის კარიბჭის მაშენებელს გვამცნობს. ეს წარწერა ამჟამად ადგილზე აღარ არის. ეტყობა მისმა გამომცემელმა ილია ადამიამ მოხსნა და დაცვის მიზნით გადაიტანა, მაგრამ სად, არ ვიცით. ეს წარწერა ოთხსტრიქონიანია და შემდეგნაირად იკითხება: ქ. აღიშენა კ(ა)რ(ი) ბჟე ეხე კ(ე) ლითა. ივ(ა)ნე ქოროჯანის ძის(ა) თა შ(ე)უწდევ(ე) ნ(მ)ერთმა). ნ: ა(მი)ნ.



ივანე ქოროჯანიძე სხვაგან არსად იხსენიება, ამიტომ ამ წარწერის დასა-თარიღებლადაც პალეოგრაფიულ ნიშნებს უნდა მივმართოთ. ქოროჯანიძის წარწერის ასოები, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, ზედმიწევნით იმეორებს გიორგი მიქაძის წარწერის ასოებს (იხ. გადმონახაზი 2) რაც ცხადია მათს თანადროულობაზე უთითებს. ერთადერთი გამონაკლისი არის ასო „ს“, რომელიც ქოროჯანიძის წარწერაში შებრუნებული ვახლავთ, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ უარყოფს ამ ორი წარწერის თანადროულობას, რადგან შებრუნებული „ს“





შედეგად XIII საუკუნეში გვხვდება ლაბსუალდის ხატის წარწერაში. მაშასადამე, ივანე ქოროჯანიძე XIV საუკუნის ხუროთმოძღვარი უნდა იყოს.

ეკის სამრევლოს მეორე სართულის ერთ-ერთ სვეტზე შემორჩენილია წითელი საღებავით შესრულებული ძლიერ დაზიანებული წარწერა (იხ. გადმონახაზი — 3), მაგრამ მისი აღდგენა-წაკითხვა შეუძლებელია. ერთადერთი, რაც ამ ხუთსტრიქონიან წარწერაში თავისუფლად იკითხება, პირველი სტრიქონის დასაწყისია — „ჭ. წ(მიდა)ო იოანე...“ ესა და ეს.

1. ილია ადამია, ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, „ბეგლის მეგობარი“, № 55, თბ., 1980; გვ. 52-62, № 57, თბ. 1981. გვ. 7-19.
2. M. Brosset, Rappports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en 1847-1848. St. Pétersbourg. 1851. Septième rapport, p. 48.
3. 5. ვ. სილოგავა დასავლეთ საქართველოს XI-XVIII საუკუნეთა ქართულ-ლაბიარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, სადისტრატციო ნაშრომი (დამატება), თბ., 1972, გვ. 190.
4. ქართული ლაბიარული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980.
6. ნ. ანდლუაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.
7. პ. ზაქარაია წულრულაშენი, თბ., 1952, გვ. 62.
8. ი. ადამია ეკის ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსის ხუროთმოძღვრება, — ბეგლის მეგობარი 57, თბ., 1981, გვ. 18.
9. ილია ანთელავა, თამარ მეფის 1188 წლის სიგელი ზოგიერთი მონაცემებისათვის, „ციკარი“, 1979, № 1. გვ. 130-131.

**მოქვის სამონასტრო კომპლექსი და გიორგობრი პროექტის  
გამომწვევი მცენარეები**

მოქვის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს აფხაზეთის ასსრ სოფელ მოქვეში (ოჩამჩირის რ-ნი), მწვანით შემოსილ გორაკზე, მდინარე მოქვისა და მისი შენაკადის დეაბის შეერთების ადგილას, ქ. ოჩამჩირიდან 17 კმ დაშორებით.

მონასტრის მთავარი ნაგებობაა გუმბათიანი ტაძარი (სიმაღლე 24 მ, სიგრძე 27მ, სიგანე 20 მ.). X საუკუნის ხუროთმოძღვრების ეს მნიშვნელოვანი ძეგლი აგებულია აფხაზთა მეფის ლეონ მესამის მიერ (957-967წწ). ტაძარი მთლიანად შემოსილია თლილი ქვით. ფასადზე ჩუქურთმები არა აქვს.

ტაძრიდან 30-ოდ მეტრის მოშორებით (სამხრეთ-აღმოსავლეთით) მდებარეობს სამრეკლო. მონასტრის ეზოში კიშვართან შემორჩენილია შენობის ნანგრევები. ტაძარს და სხვა ნაგებობებს გარშემო მალალი ვალავანი აკრავს.

ამჟამად ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებს სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება. ტაძრის შიგნით ფრესკების გაწმენდა-კონსერვაცია უკვე ჩაატარა გაერთიანების მხატვარ-რესტავრატორების ჯგუფმა გურამ კეიშვილის ხელმძღვანელობით. ახლა კი მიმდინარეობს ტაძრის და სხვა ნაგებობათა სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაოები. არქიტექტორ-რესტავრატორია მურთაზ ურიდია, სამუშაოთა მწარმოებელი ჯოტო ავიძბა.

გაერთიანების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკებმა გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ აღნიშნულ ძეგლზე დასახლებული ბიოტური ეროზიის გამომწვევი მცენარეები. როგორც ცნობილია მცენარეები სახლდებიან რა ძეგლზე, იწვევენ სამშენებლო ქვის და ნაზავის დაშლას და ბოლოს რეგლის ნგრევას<sup>1</sup>.

მოქვის ტაძარზე ძირითადად გვხვდება უმდალესი მცენარეები: ლიქენები (დიდი რაოდენობით) და წყალმცენარეები. ლიქენებით თითქმის მთლიანად დაფარულია მისი კედლები. ლიქენების ასეთი დიდი დასახლება გამოწვეულია ტაძარზე ტენიანობის გაზრდით, რაც განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: 1. დროთა განმავლობაში ნიადაგის ზედაპირის აწევამ ტაძრის კედლებთან, საძირკველიდან ზემოთ (მ. ურიდია), 2. ტაძრის კედლებთან ამოსულმა ხეებმა (მავნოლია, გინკო, ქინკინა, ვუნდის ხე) და 3. კლიმატურმა პირობებმა. უმადლესი მცენარეები ტაძარზე მცირედაა განვითარებული. ისინი დიდი რაოდენობით და სისშირთაა წარმოდგენილი სამრეკლოზე და სხვა დანარჩენ ნაგებობებზე.

მცენარეების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს აქაური გარემო და კლიმატური პირობები: ზღვის სუბტროპიკული ჰავა, ჰაერის ტემპერატურა 13-14°C, ივლისის 23°C, იანვრის 4°C, ნალექები-წელიწადში 1300-2000 მმ რაოდენობით.

განსაკუთრებით მჭიდრო დასახლებით გამოირჩევა ტაძრის დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, სადაც ლიქენებით დაფარულობა 80%-ს შეადგენს. საძირკველთან გვხვდება უმადლესი მცენარეები: სურო, გვიშრები, ხავსები. დასავლეთის კედელზე ლიქენების გარდა უმდალესი მცენარეებიდან განვითარე-



ბულია წყალმცენარეები, რომლებიც კედლის მარცხენა მხარესაა, ხედავთ მუდმივად ზედაპირულია ხე ქმნის ტენს.

აღმოსავლეთის კედელი მიწის ზედაპირიდან 0,5 მეტრის სიმაღლემდე დაფარულია ხავსებით და წყალმცენარეებით. ამის ზემოთ მხოლოდ ლიქენებია, დაახლოებით 30%-ის რაოდენობით.

სამხრეთი კედელი შედარებით მცირედაა დასახლებული მცენარეებით. მოქვის ტაძარზე აღინიშნება 20 სახეობის ლიქენი. იგი ამ მხრივ უტოლდება ჩვენს მიერ დამუშავებულ და ლიქენებისაგან განთავისუფლებულ ნიკორწმინდის ტაძარს, რომელზედაც 20 სახეობის ლიქენი იყო გარკვეული<sup>1</sup>.

ლიქენები სხვადასხვა ფერად აფერადებენ ტაძრის კედლებს, რაც თავისებურ სილამაზეს ქმნის; მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უარყოფითად მოქმედებენ ძველზე. იწვევენ ქვის დაშლას; თანაც ისინი წინამორბედნი არიან შემდგომში უმაღლესი მცენარეების დასახლებისა.

მოქვის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს მისი სამრეკლო, უფრო სწორად სამრეკლოს ნანგრევები. მხოლოდ ქვედა სართულია დარჩენილი და ისიც სულ მცენარეებითაა დაფარული. მცენარეები უფრო დიდი სიხშირითაა დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლებზე. აქ გვხვდება ლელვის ხე, მაცვალა და ბალახოვანი მცენარეები.

მონასტრის ეზოში, კიშართან შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები გვიანდელი შენობის ნანგრევები, რომელიც როგორც შიგნით, ასევე გარედან დაფარულია მცენარეებით. აქ არის ლელვის ხეები, მაცვალა და ბალახოვანი მცენარეები დიდი რაოდენობით.

მონასტრის ეზო შემოფარგლულია ქვის გალავნით, რომელიც აგრეთვე მცენარეებითაა დასახლებული (ხავსები, ბალახოვანი მცენარეები, ხეები) გალავნის მცენარეებით დაფარულობა 70%-ია

მოქვის მონასტრის ნაგებობებზე ჩვენ ვნახეთ და გავარკვიეთ 45 სახეობის მცენარე, რომელთაგანაც 10 ხე, 4 ლიანა და 31 ბალახოვანი მცენარეა.

ხეები — ლეღვი, გლედიჩია, შინდანწლა, ტყემალი, ქაფურის ხე, დიდფოთოლა მავნოლია, გინკო, ცაცხვი, კობარისი (გუნდის ხე), მუშშალა; ლიანები — ჩვეულებრივი სურო, კოლხური სურო, მაცვალა, ეკალიძვი; ბალახოვანი მცენარეები — ერთწლოვანი თივაქასრა, სპარსული თივაქასრა, არენარიას სამი სახეობა, პირთეთრას ორი სახეობა, ია, კინჰარი, მაჩიტა, ჭრისტესისხლა, ბეგქონდარა, ტყის პიტნა, ომბალო, ქერიფქლა, მარწყვა ბალახი, მარწყვი, გველის მარწყვი, ნემსიწვერა, ჩიტის იონჯა, ცხერის სამყურა, წითელი და თეთრი სამყურა, მრავალძარღვა, კიაფერა, ისლი, მამასწარა, უჭურველი, ვენერას თმა, ფხაჯა (ქვატეხია).

ლაბორატორიულ და ბუნებრივ პირობებში ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები, რომლის დროსაც გამოცდილი იყო რიგი შხამ-ქიმიკატებისა სხვადასხვა კონცენტრაციით, მცენარეთა სახეობების და შხამების ქვაზე მოქმედების გათვალისწინებით.

დადგენილ იქნა შხამ-ქიმიკატების სახეობა, ექსპოზიცია, დოზები, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ბიოტური ეროზიის გამოიწვევი მცენარეების მოსპობა ძველებზე.

1. ნ. ცანავა და სხვები, ვანაძიანის «ყველაწმინდის ეკლესიის ბიოტური ეროზიის გამოიწვევი მცენარეები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ძველის მეგობარი № 1, 1986 წ.

2. ნ. კელიძე, ც. ინაშვილი, ნიკორწმინდის ტაძრის ლიქენები, ვერს. «მამბე», ტ. 92, 1979 წ.

თეიმურაზ ბურკიაშვილი

### კირღულაზი

ძველი კირღულაბის სხვადასხვა ნიმუშისათვის დამახასიათებელი სიმტკიცე, წყალმდეგობა, ატმოსფერომდეგობა და სხვა ფიზიკო-ტექნიკური თვისებები მნიშვნელოვნადაა განპირობებული მასში შემავალი კომპონენტების ხარისხიანობით, მათი რაოდენობრივი შეფარდებით და კირღულაბის ნარევის გამაგრების რეჟიმით.

კირღულაბის კომპონენტების ხარისხიანობასა და მათ რაოდენობრივ შეფარდებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა, რამდენადაც ამ ფაქტორებზე მკვეთრად იყო დამოკიდებული კირღულაბის შემდგომი თვისებები.

„ძველ რომში კირის ხარისხი მოწმდებოდა სახელმწიფო კონტროლიორების მიერ. ამასთანავე თუ წყობაში გამოსაყენებელი კირისათვის მოიპოვებდნენ კირქვის მაგარ ჯიშებს, საბათქაშე კირისათვის რბილ კირქვებს არჩევდნენ“<sup>1</sup>.

კირი, რომელიც არ იყო სათანადოდ ჩამქრალი ან უკვე დაკარგული ჰქონდა მკვიდა თვისებები, მშენებლობაში აღარ გამოიყენებოდა. კირღულაბისათვის ქვიშაც მუდამ საუკეთესო ხარისხისა იყო შერჩეული და კირისა და ქვიშის რაოდენობრივი ფარდობაც ყოველთვის კირღულაბის დანიშნულების მიხედვით იყო დაკუთვნილი. აი, რას გვიამბობს გიორგი მერჩულე (შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა. X ს.) „ხოლო ქვიც და კირი ფრად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა და ყოველი სასწორითა იწონებოდა“<sup>2</sup>.

კომპონენტების რაციონალურად შერჩევას ძირითადად, კირღულაბის მომავალი დანიშნულება განსაზღვრავდა, მაგრამ ამავე დროს ეს ფაქტორი ხშირად იყო დამოკიდებული გარემო თუ ისტორიულ პირობებზეც.

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიაში „ღულაბს ამზადებდნენ კირის ცომისაგან, მასზე აგურფხენილის (დანაყილი აგურის) დამატებით. ზოგ შემთხვევაში ღულაბში შეჰყავდათ ორგანული დანამატი (რძე, ხაჭო, კვერცხის ცილა და ა. შ.) რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან წყობის სიმტკიცესა და წყალუღონადობას. აღნიშნული ტექნიკა კიევის რუსეთში X საუკუნეში იქნა გადატანილი“<sup>3</sup>.

რუსეთში პირველი ტაძარი, რომლის კედლების წყობაშიც კირღულაბი იქნა გამოყენებული, 990 წელს აიგო კიევიში. შემდგომშიაც „პიდრავლიკური ღულაბების მისაღებად, რუსი მშენებლები, გარდა დაქუცმაცებული აგურისა, კირს უმატებდნენ ზოგიერთ ბუნებრივ ქანს, ხოლო დიდი ნაგებობების მშენებლობისას — ხარის სისხლს, ხაჭოს, კვერცხის ცილას“ და ა. შ.<sup>4</sup>.

დ. მ. მშენიერაძემ შეისწავლა რა საქართველოს სხვადასხვა ძეგლებიდან აღებული კირღულაბის ნიმუშები, დაადგინა:



„მცხეთის ანტიკური სამარხის შიდა კედლები დაფარულია მრავალფეროვანი მინერალების დუღაბით შედგება კირისა და აგურფხვნილისაგან, პროპორციის კონსტრუქცია

„ლურჯი მონასტრის“ (XII ს.) მილების პირაპირისა და დანალექის დუღაბის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მილბაბრის პირაპირი ამოვსებული იყო ჰაერ-კირისა და რალაც ორგანულ ნივთიერებათა საფუძველზე მომზადებული დუღაბით“<sup>5</sup>.

შემდგომ მშენიერებად თაყის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „დუღაბში კირს ურევენ კერის ფქვილს, კვერცხის ცილას და სხვა ორგანულ ნივთიერებებს“.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადდის, რომ ძალისის აუზის ბათქაში შედგება 4 განსხვავებული შრისაგან, თითოეულში კირის, ქვიშისა და აგურფხვნილის სხვადასხვა ოდენობითა და გრანულომეტრიით. ასე მაგალითად, თუ პირველი შრე მომზადებულია მდინარის შავ ქვიშაზე, აგურფხვნილზე და კირზე (კირი: ქვიშა: აგურფხვნილი 1:2, 5:1), მეოთხე შრე შედგება მხოლოდ კირისა და აგურფხვნილისაგან (კირი: აგურფხვნილი 1:3). საფარის, ბეთანიისა და სვანეთის სხვადასხვა ეკლესიების კირდუღაბების შესწავლამ კი ცხადყო, რომ ერთი და იგივე დანიშნულების დუღაბად ხშირად მრავალგვარი შემადგენლობით ხასიათდება. ყოველივე ეს ერთგულ კედელ ადასტურებს ჩატარებული სამშენებლო თუ სარესტავრაციო სამუშაოების სიზშირეს. ეს ვარაუდობა კი თავისთავად წინ წამოსწევს ვარაუდს თუ ისტორიული პირობების ზეგავლენას კირდუღაბის შემადგენლობასა და მის ხარისხზე.

ვხედავთ, რომ კირდუღაბის კომპონენტებია: კირი, ქვიშა, წყალი და სპეციალური დანამატი, რომელსაც ნარევეს იმ შემთხვევაში უმატებდნენ თუ საჭირო იყო კირდუღაბის სიმტკიცის, ადგეზიის უნარის, წყალმდეგობისა და სხვა თვისებათა გაუმჯობესება. სპეციალურ დანამატებად გამოიყენებოდა არაორგანული მასალებიდან — აგურფხვნილი ან კერამიკის ნაფხვენი (ე. წ. „ცემიანა“), პუცოლანა, დიატომიტი, ტრასი და ა. შ. ორგანული ნივთიერებებიდან — კვერცხის ცილა, რძე, ხაჭო, ხარის სისხლი და სხვ.

ზოგიერთი ნივთიერების თვისება — მიენიჭებინა ჰაერკირისათვის წყალში გამაგრებისა და წყალმდეგობის უნარი და ამასთანავე გაეზარდა დუღაბის სიმტკიცე — ცნობილი იყო უკვე 2000 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პლინიუსი და სენეკა მიუთითებენ, რომ საპაერო კირისათვის პიდრაფლიკური თვისებების მისანიჭებლად, რომელეები მას უმატებდნენ წინასწარ გამომწვარ და დაქუცმაცებულ თიხას, აგურს ნაფხვენ ფქვილს, ან ვულკანურ ფერფლს, რომელსაც ისინი ქალაქ პუცოლის ახლოს მოიპოვებდნენ.

როგორც ცნობილია, ისეთ ორგანულ ნივთიერებებში, როგორცაა რძე, ხაჭო, კვერცხის ცილა, ხარის სისხლი და ა. შ. მრავლადაა სხვადასხვა სახის ცილა, რომელთაც გააჩნია მჭიდრო წებოვანი თვისებები. ეს ცილები გარდა იმისა, რომ თავად წარმოადგენს ბუნებრივ წებოებს, და გააჩნია ადგეზიის მაღალი უნარი, სიმტკიცე და დამკმაყოფილებელი წყალმდეგობა, კირთან ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოქმნიან წყალში უხსნად მტკიცე ნაერთებს, რომლებიც აუშვობესებენ კირდუღაბის რეოლოგიურ და ფიზიკო-მექანიკურ თვისებებს. ზოგიერთი სახის ცილის საფუძველზე დღესაც მზადდება ბუნებრივი წებო (ალბუმინი, კაზეინი), მაგრამ თანდათან ცილებზე მომზადე-



ბულ წებოთა წარმოება და გამოყენება მკვეთრად იზღუდება, ვინაიდან ნივთიერებანი კვების პროდუქტების შემადგენლობაში შედიან.

კირდულაბის ნარევის გამაგრების რეჟიმზეც დიდადაა დამოკიდებული დულაბის საბოლოო ფიზიკო-ტექნიკური თვისებები, რადგანაც იმისდა მიხედვით თუ რა დანიშნულებისაა კირდულაბი და რა კომპონენტებს რა რაოდენობით შეიცავს, გამაგრებაც სხვადასხვა რეჟიმით უნდა წარიმართოს. ზოგჯერ საჭირო ზდება გამაგრება მიმდინარეობდეს მშრალ პირობებში, ზოგჯერ ტენიან გარემოში, ზოგ შემთხვევაში კი — ჯერ მშრალი, — შემდგომ კი ტენიანი პირობებია უკეთესი.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი კირდულაბის მაღალი ფიზიკო-ტექნიკური თვისებები წინასწარდადგენილ მოთხოვნათა მკაცრი დაცვითაა განპირობებული. ამჟამად, მსგავსი წინასწარდადგენილი მოთხოვნები თავმოყრილია სახელმწიფო სტანდარტში ამა თუ იმ მასალაზე. სახელმწიფო სტანდარტის დაცვა კი აუცილებელი პირობაა მაღალხარისხიანი სამშენებლო მასალის მისაღებად.

1. სამშენებლო საქმის ისტორია, ლ-მ. 1972, გვ. 73.

2. „ქართული პროზა“, ტ. 1, გვ. 251.

3. მ. გ. მილოსლავესკი, სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურის ისტორია, მ. 1964, გვ. 56.

4. ვ. ა. უორობოვი, ა. გ. კომარი, სამშენებლო მასალები, მ. 1976, გვ. 81.

